

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი



მარინა ბერიძე
ლია ბაკურაძე
ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი

(ქართული დიალექტური კორპუსი)

თბილისი
2018

სახელმწიფო ენის დეპარტამენტი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი

(ქართული დიალექტური კორპუსი)

მომზადებულია ქართული დიალექტური კორპუსის პლატფორმაზე

შემდგენლები:

მარინა ბერიძე

ლია ბაკურაძე

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ტექნოლოგიური კონცეფციის ავტორები:

მარინა ბერიძე

დავით ნადარაია

კონსულტანტი:

ნაზი დავითაშვილი (შაპნაზ რაპიძი)

რედაქტორები:

ზაქარია ფურცხვანიძე

ელენე ნაპირელი

მონაცემთა ბაზის რედაქტორები:

დიანა ანფიმიადი

მაია ბარიხაშვილი

დამკაბადონებელი:

მაკა ცოშაია

©მარინა ბერიძე, დავით ნადარაია, ლია ბაკურაძე



The Jan Nowak-Jeziorański College of Eastern Europe in Wrocław
Zamkowa 2, 55-330 Wojnowice, Poland

ISBN 978-83-7893-174-4

ექვნება

მუხტარ დარჩიაშვილის (ასლანის) ნათელ ხსოვნას

მან ბევრი გააკეთა ფერეიდანში ქართული ენის შენარჩუნებისა და თაობებისთვის გადაცემისათვის, მაშობა გაუწია ამ წიგნის ავტორებს მუშაობის პერიოდში და შესაძლებელი გახადა ფერეიდანული დიალექტის კორპუსული ლექსიკონის შექმნა.



Dedicated

To the memory of Mukhtar Darchiashvili (Aslani)

He had done a lot for preserving Georgian language in Fereydan and transferring it to generations, warmly welcomed and supported the authors of this book during the work and made it possible to create a corpus based dictionary of Fereydanian dialect.

ანოტაცია

ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი არის ნაწილი პროექტისა „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“. პროექტი მიზნად ისახავს ქართული დიალექტური მრავალფეროვნების კორპუსულ დოკუმენტირებას. ფერეიდნული დიალექტური კუნძული 400 წლის წინ ჩამოყალიბდა ირანში, ისპაჰანის მახლობლად, ფერეიდანის რეგიონში. მისი სამეტწიერი დოკუმენტირება და შესწავლა მხოლოდ გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო.

ლექსიკონი მომზადებულია ქართული დიალექტური კორპუსის პლატფორმაზე, რომელიც შეიქმნა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. ის ეყრდნობა დღემდე ბეჭდურად გამოცემულ ლექსიკოგრაფიულ მასალებს, ჩვენ მიერ სხვადასხვა დროს მოპოვებულ მდიდარ ლექსიკოგრაფიულ ინფორმაციას და ქდკ-ის ტექსტებს.

ლექსიკონი მოიცავს მდიდარ ლინგვისტიკურ ინფორმაციას. მასში წარმოდგენილია არა მხოლოდ მთავარი ფორმა, არამედ მისი ფონეტიკური და გრამატიკული ვარიაციები სათანადო გრამატიკული, სემანტიკური და სტილისტიკური მარკერებით. როგორც მთავარ ფორმას, ისე ვარიაციებს ახლავს საერთაშორისო ტრანსლიტერაციული ჩანაწერი. სპარსულიდან ან სპარსულის გზით შესულ სიტყვებს ახლავს ინფორმაცია ნასესხობის შესახებ და შესაბამისი ჩანაწერი სპარსულად. ლექსიკონი ილუსტრირებულია და მოიცავს დიდძალ ენციკლოპედიურ ინფორმაციას ფერეიდნის შესახებ.

ფერეიდნული ლექსიკონი მნიშვნელოვანი ნაბიჯია დიალექტური კუნძულის დოკუმენტირებისა და კვლევის საქმეში, ამასთან ის არის ფერეიდნელებისთვის კარგი სასწავლო საშუალება, რომელიც მათ დიდ დახმარებას გაუწევს მშობლიურ კულტურულ გარემოსთან რეინტეგრაციის საქმეში.

Annotation

Corpus Based Dictionary of Fereydanian Dialect is a part of the project Linguistic Portrait of Georgia. The objective of the project is to provide corpus documented dictionary manifesting the diversity of Georgian dialects. The formation of the Fereydanian dialect island in Iran, near Isfahan, dates back about 400 years. The scientific studies into the dialect and its documentation began in the 20ies of the last century.

The dictionary has been prepared on the platform of Georgian dialect corpus which was created with the support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

Corpus based dictionary of Fereydanian dialect grounds on the existing printed lexicographic data; it contains rich lexicographic information obtained by us at different times and the texts of the Georgian Dialect Corpus.

The dictionary embraces vast linguistic information. It submits not only main forms of dialectal units but their phonetic and grammar variations together with corresponding grammatical, semantic and stylistic markers.

The main forms as well as their variations are followed by international transliteration records. Persian words or those borrowed via Persian are accompanied by information on borrowings and relevant records in Persian are given. The dictionary has been illustrated and contains abundant encyclopedic data about Fereydan itself.

Fereydanian dictionary is a big step forward in documentation and research into dialect island. And what is more the dictionary is a good training tool for Fereydanians that can greatly assist them in the process of reintegration into native cultural environment.

წინასიტყვაობა

ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი არის ნაწილი მრავალწლიანი პროექტისა, რომელსაც საუკუნეთა მიჯნაზე ჩაეყარა საფუძველი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ეს გახლავთ პროექტი „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ (იღის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი – მარინა ბერიძე), რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების თანამედროვე ტექნოლოგიებით დოკუმენტირებას და კვლევას. ამ პროექტის ფარგლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა ვერ *ქართული დიალექტური კორპუსი*, ხოლო მასზე დაყრდნობით – დიდი *ქართული დიალექტური ლექსიკოგრაფიული ბაზა*, რომელიც უკვე არის სხვადასხვა ტიპის დიალექტური ლექსიკონების შექმნის ეფექტური საშუალება.

ქდკ-ში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს საზღვრებს გარეთ გავრცელებულ დიალექტებს. ფერეიდნული დიალექტი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, ისპაჰანის რეგიონში მოსახლე ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაა, რომელიც 400 წლის განმავლობაში ვითარდებოდა მშობლიური კულტურული გარემოსგან იზოლირებულად და დღეისათვის უმნიშვნელოვანესი საკვლევი ობიექტია კუნძულური დიალექტოლოგიისათვის.

გასული საუკუნის დასაწყისიდან ადგა ფერეიდნელთა კონტაქტები სამშობლოსთან და ეს კონტაქტები საუკუნის ბოლოსთვის სულ უფრო და უფრო ინტენსიური გახდა. შესაბამისად, დიალექტურ კუნძულში გაჩნდა კულტურული და ენობრივი რეინტეგრაციის მძლავრი ტენდენცია. ჩვენს ვჯგუფს სწორედ ამ საინტერესო ეტაპზე მოუწია ფერეიდნული დიალექტური კუნძულის პრობლემებზე მუშაობა, ფერეიდნული მეტყველების დოკუმენტირება და კვლევა.

დიალექტის მეცნიერული შესწავლა და დოკუმენტირება მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო, სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებულია სხვადასხვა დროს ჩაწერილი ფერეიდნული მეტყველების ნიმუშები, რომლებსაც ერთვის მცირე ლექსიკონები ტექსტის უკეთ აღსაქმელად და მათ საფუძველზე დამყარებული კვლევის შედეგები. დღეისათვის ქდკ-ის ტექსტურ კოლექციაში შესულია დიალექტური მასალის ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია და ჩვენ მიერ 2008 წლიდან დღემდე ჩაწერილი ტექსტები.

ფერეიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონის შედგენა ამ სამუშაოს ერთი განუყოფელი ნაწილია.

ლექსიკონის ბეჭდური ვერსია ეყრდნობა „ქართული დიალექტების დიდი დიალექტოგრაფიული ბაზის“ მონაცემებს და მთლიანად შესრულებულია ბაზის ლექსიკოგრაფიული რედაქტორის გამოყენებით. მხოლოდ ამ ტექნოლოგიის წყალობით გახდა შესაძლებელი დიდძალი მასალის უმოკლეს დროში სტრუქტურირება და ლექსიკოგრაფიული დამუშავება.

ლექსიკონის ლექსიკოგრაფიული წყაროებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ცნობილი სამეულის, ფერეიდნული დიალექტის მკვლევართა – დარეჯან ჩხუბიანიშვილის, ჯემშით გიუნაშვილისა და თედო უთურგაძის ნაშრომები. სამწუხაროდ, დარეჯან ჩხუბიანიშვილის გარდაცვალების გამო (2009წ.) შეჩერდა მათ მიერ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაწყებული კვლევა. ვიდრე ფერეიდნული დიალექტის მონოგრაფიულ კვლევას მოეკიდებდით ხელს, ჩვენ შევკრიბეთ ქალბატონ დარეჯან ჩხუბიანიშვილის მიერ გამოქვეყნებული ყველა სტატია, თეზისი და სალექსიკონო მასალა და გამოვეცით მისი წიგნი „საენათმეცნიერო წერილები“.

ჩვენ მიერ ფერეიდნული დიალექტის კვლევის მიმართულებით გადაღებული ყველა ნაბიჯი, მათ შორის ფერეიდნულის კორპუსული ლექსიკონის შექმნაც ამ წიგნით დასრულებული ერთი ეტაპის მემკვიდრეობითი გაგრძელებაა.

ქღკ-ის ფერეიდნული ლექსიკონის წყაროები:

1. ლ. აღნიაშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები, ტფილისი, 1896 წ.
2. ვ. თოფურია, ნიმუში ფერეიდნის ქართული ენისა, ლომისი, N16, 1922 წ.
3. ს. ასლანიშვილი, ქართველები სპარსეთში (სტატიას დართული აქვს ი. ჭეიშვილის მიერ 1919 წელს ფერეიდანში ჩაწერილი ლექსიკური მასალის ნიმუშები), ბახტრიონი, N18, 1922 წ.
4. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII, 1927 წ.
5. შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956 წ.
6. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961 წ.
7. მ. თოდუა, ფერეიდნული ტექსტები, სპარსულ-ქართული ეტიუდები, I I, 1975 წ.
8. ლ. ფროიძე, ფერეიდნიდან ჩამოსახლებული ქართველები, მაკნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N2, 1975 წ.
9. ზ. შარაშენიძე, ფერეიდნული გურჯები, თბილისი, 1979 წ.
10. ა. ჭელიძე, ფერეიდნული ქართველები, თბილისი, 2011 წ.
11. დ. ჩხუბიანიშვილი, საენათმეცნიერო წერილები, თბილისი, 2012 წ. – წიგნში შესულია თედო უთურგაძის, დარეჯან ჩხუბიანიშვილისა და ჯემშიდ გიუნაშვილის მიერ სხვადასხვა წელს სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებული ფერეიდნული ტექსტები და თანდართული სალექსიკონო მასალა.
12. ქღკ-ის ლექსიკოგრაფიული ბაზა
13. ქღკ – ქართული დიალექტური კორპუსი <http://corpora.co>

ქღკ-ის ლექსიკონის სტატია სტრუქტურირებულია შემდეგ საინფორმაციო ველებში:

- სალექსიკონო ერთეული
- სალექსიკონო ერთეულის სალიტერატურო შესატყვისი
- სალექსიკონო ერთეულის განმარტება
- ენციკლოპედიური ინფორმაცია
- ილუსტრაციები
- ინფორმაცია სიტყვის ნასესხობის შესახებ
- გრამატიკული, სიტყვაწარმოებითი და ფონეტიკური ვარიაციები
- გრამატიკული, სემანტიკური, სტილისტიკური მახასიათებლები
- შიდა ბმულები

სალექსიკონო ერთეული: სალექსიკონო ერთეული შეიძლება იყოს ცალკე სიტყვა, შესიტყვება, სიტყვის ფრაგმენტი. სალექსიკონო ერთეულს მიწერილი აქვს გრამატიკული მარკერი და ტრანსლიტერაციული ჩანაწერი.

შესატყვისი: ამ ველში იწერება ზუსტი სალიტერატურო შესატყვისი, თუ ასეთი არსებობს.

განმარტება: აქ იწერება შედარებით ვრცელი აღწერითი განმარტება, ამ ველის შევსება აუცილებელია, როცა არა გვაქვს სალექსიკონო ერთეულის ზუსტი შესატყვისი სალიტერატურო ენაში, ხოლო როცა ზუსტი შესატყვისი გვაქვს, განმარტების ველში შეიძლება სურვილისამებრ დავამატო შესაბამისი ინფორმაცია, ან დავტოვოთ შეუვსებელი.

შესატყვისისა და განმარტების გაყოფა კორპუსული მიდგომით არის განპირობებული – საჭიროების შემთხვევაში შესატყვისის ველი ავტომატურად შეიძლება მიებას სხვა – განმარტებით ან თარგმნით ლექსიკონს. რაც შეეხება ბეჭდურ ვერსიას – აქ ეს ორი ინფორმაციული ველი ვიზუალურად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და ერთ ბლოკად არის წარმოდგენილი ენციკლოპედიურ ინფორმაციასთან ერთად.

ენციკლოპედიური ინფორმაცია: აქ მოცემულია ვრცელი ცნობები განსამარტი სიტყვით აღნიშნული ცნების შესახებ.

სალექსიკონო სტატიას შეიძლება ჰქონდეს მოცემული ველებიდან სამივე – შესატყვისი, განმარტება, ენციკლოპედიური ინფორმაცია ან მხოლოდ რომელიმე მათგანი.

ამ ველების გამდიდრება და შევსება მომავალში ჩვენი ლექსიკოგრაფიული ბაზის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტივაა. ენციკლოპედიური ველის ცალკე გამოყოფა საშუალებას იძლევა, ვიფიქროთ მასშტაბური დიალექტური ენციკლოპედიური ლექსიკონის შექმნაზე.

ფერეიდნულში შესული უცხო სიტყვების განმარტებისას ძირითადად ვეყრდნობოდით შემდეგ ლექსიკონებს:

1. ჰასან ანვარის დიდი განმარტებითი ლექსიკონი „სოხანი“ (8 ტომად), Hassan Anvāri, Farhang-e bozorg-e Sokhan, გამომცემლობა “სოხან“, თეირანი, 1381.

2. მოჰამად ჰასანდუსთის „სპარსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ 5 ტომად. Mohammad Hassandoust, An Etymological Dictionary of the Persian Language, Nashre Asar, Tehran, 1383.
3. ყოლამჰოსეინ სადრი აფშარის, ნასრინ ჰაქამის და ნასთარან ჰაქამის “თანამედროვე სპარსულის ლექსიკონი” – Gh.Sadri Afshar, Nasrin Hakami, Nastaran Hakami, A Contemporary Persian Dictionary, Nashre Kalame, Tehran, 1374.
4. ყოლამრეზა აზარლის “ირანული დიალექტების ლექსიკონი” – Gholamreza Azarli, A Dictionary of Iranian Dialects, Nashre Hazar, Tehran, 1387.
5. მოჰამად-მაჰდი ესმაილის „ირანული დიალექტების საგანძური (ისფაჰანის პროვინცია, რეუული 1)“ Mohammad-Mahdi Esmā'ili, A Treasury of Iranian Dialects (Isfahan Province 1), Nashre Asar, Tehran, 1390.
7. იური რუბინჩიკის „სპარსულ-რუსული ლექსიკონი“ ორ ტომად. Рубинчик Ю.А. Персидско-русский словарь, М.: Русский язык, 1970.

ასევე გამოიყენეთ სპარსული ენის სპეციალური ტერმინოლოგიური ლექსიკონები. უნიფიცირების მიზნით წინამდებარე ლექსიკონში დავეყრდნით სადღეისოდ ყველაზე ავტორიტეტული ჰასან ანვარის დიდი განმარტებითი ლექსიკონის („სოხანი“) ტრანსკრიფციას.

ამავე ლექსიკონის მიხედვით არის მითითებული ფერეიდნულში შესული უცხო სიტყვათა წარმომავლობა (სპარსული, არაბული, თურქული, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ა.შ.), რაც ნიშნავს ამ სიტყვათა წარმომავლობას სპარსული ენის გადმოსახედიდან და არა იმას, რომ ისინი ხსენებული ენებიდან პირდაპირ შევიდნენ ფერეიდნულში. სპარსული წარმომავლობა მიწერილი აქვს ასევე ისეთ უცხო სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც შეიცავენ სპარსულ ელემენტებს.

სალექსიკონო სტატიის თანმიმდევრობა ბეჭდურ ლექსიკონში:

სალექსიკონო სტატიის ელემენტი ბეჭდურ ლექსიკონში ასეთი თანმიმდევრობით გადმოიციემა:

სალექსიკონო ერთეული, მისი გრამატიკული და სტილისტიკური მახასიათებელი, ფონეტიკური ვარიანტი (რომელსაც არ სჭირდება გრამატიკული მახასიათებლის მიწერა), ფორმალწარმოებითი ან სიტყვაწარმოებითი ვარიანტი, რომელსაც მიწერილი აქვს გრამატიკული მახასიათებლები, შიდა ბმულები: იგივეა რაც და იხილეთ (იხ.), ინფორმაცია სიტყვის ნასესხობის შესახებ, შესატყვისი ან განმარტება (ზოგჯერ ორივე), ენციკლოპედიური ინფორმაცია, ილუსტრაცია, ილუსტრაციის განმარტება ან ილუსტრაციის წყარო.

რასაკვირველია, ნაკლებადაა ისეთი სტატიები, რომლებშიც ყველა ელემენტი იქნება წარმოდგენილი.

ლექსიკონში ელემენტის თანმიმდევრობა და შრიფტი ისეა შერჩეული, რომ შესატყვისი, განმარტება და ენციკლოპედიური ინფორმაცია ერთ მთლიან ტექსტად აღიქმება; დახრილი

შრიფტითაა გადმოცემული ფონეტიკური ვარიანტები და ილუსტრაციები, გამოუქმებულია სალექსიკონო ერთეული, ფორმალწარმოებითი და სიტყვაწარმოებითი ვარიაციები და ბმული სიტყვები.

ილუსტრაციები სალექსიკონო სტატიებში არაპროპორციულადაა წარმოდგენილი, რაც აგრეთვე ნაკარნახევია ლექსიკოგრაფიული კონცეფციით. ამ ლექსიკონების შექმნით ჩვენ ქლკ-ის ლექსიკურ ფონდს ვამდიდრებთ შემდგომი ლექსიკოგრაფიული სამუშაოებისათვის. ამიტომ, როცა გვაქვს ბევრი ილუსტრაცია, ვაქვეყნებთ მთლიანად, როცა არა გვაქვს ილუსტრაცია – მას ხელოვნურად არ ვკმნით.

ქართულ დიალექტოლოგიაში დამკვიდრებული ტრადიციით დიალექტური ლექსიკის აღწერისას კატეგორიულად გამოირიცხებოდა ლექსიკონში სალიტერატურო ენასთან ან სხვა დიალექტთან საერთო ლექსიკის შეტანა. ასეთი რამ დასაშვები იყო მხოლოდ მნიშვნელობის განსხვავებული ნიუნანსების არსებობის შემთხვევაში. ამგვარმა მიდგომამ შექმნა ერთიანი ენობრივი სივრცის ფრაგმენტული და არა პანორამული ანაბეჭდი. ამ დეფიციტის დაძლევის ცდა არის სწორედ ქართული დიალექტური კორპუსი, რომელიც წარმოაჩენს დიალექტის ერთიან ენობრივ ქსოვილს და აჩვენებს სისტემისა და ქვესისტემის ურთიერთმიმართების ცოცხალ და დინამიურ სურათს. აღსანიშნავია, რომ ქლკ-ის მასალების მიხედვით სალიტერატურო ენისგან ყველაზე დაშორებულ დიალექტსაც კი საერთო სიტყვანის თითქმის მეთხედი მასთან საერთო ლექსიკა აქვს. სწორედ ეს საერთო არის ენისა და დიალექტების მიმართების ნამდვილი ვითარების ამსახველი და არა ის განსხვავებები, რომლებმაც ზოგ შემთხვევაში გაგებიანების პრობლემაც კი შეიძლება შექმნას.

ამიტომ ფერეიდნულ ლექსიკონში შევიტანეთ სალიტერატურო ენასთან საერთო სიტყვების მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ იმის გამო, რომ წარმოგვეჩინა დიალექტის არქაული კავშირი მშობლიურ ენობრივ გარემოსთან. მომავალში ვაპირებთ კორპუსის მთელი სიტყვანის ანოტირებული, ლემატიზებული სიხშირული სიის გამოქვეყნებასაც, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს, თავად გადაავლოს თვალი საერთო და სპეციფიკური ლექსიკისა თუ გრამატიკული ფორმების შეფარდებას დიალექტში.

სპარსულის გზით შესული სიტყვები, როგორც ითქვა, მონიშნულია, როგორც ნასესხობები და წარმოდგენილია სპარსული და ტრანსკრიფციული ვარიანტებით.

დღეს ფერეიდნული ახალგაზრდობა დიდი სერიოზულობით ეკიდება მშობლიური ენის შესწავლას, ამიტომ ლექსიკონის ეს ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ლექსიკონის ელექტრონულ ვერსიაში შესაძლებელია ნასესხები ლექსიკის ცალკე სუბლექსიკონად გენერირება, ეს კიდევ უფრო ზრდის ლექსიკონის სასწავლო ფუნქციას.

ფერეიდნულ ლექსიკონზე მუშაობა მოითხოვდა სპეციფიკურ მიდგომას. გასათვალისწინებელი იყო დიალექტის არაერთგვაროვნება და შიდადიფერენციაცია, აგრეთვე ინტენსიური რეინტეგრაციული პროცესის თანამდევი მოვლენები – სალიტერატურო ფორმების გამოყენების მზარდი ტენდენცია, ფსევდოლიტერატურული ფორმების გაჩენა და ა. შ.

როგორც ცნობილია, პირველი ფერეიდნული ტექსტები და სალექსიკონო მასალა ჩაწე-

რილი იყო მხოლოდ ერთი პირისგან, სეიფოლა იოსელიანისაგან. შესაბამისად, ისინი მხოლოდ სოფელ მარტყოფისა და ამ სოფლის განაყარი სოფლების მეტყველების თავისებურებას ასახავდნენ. მხოლოდ გვიან, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გაჩნდა სამეცნიერო სივრცეში ფერეიდნის სხვადასხვა სოფელში ჩაწერილი ტექსტები.

სალექსიკონო სტატიებზე მუშაობის დროს გვიწვედა სხვადასხვა ლექსიკოგრაფიულ წყაროში დამოწმებული ლემის, შესატყვისის / განმარტების დაზუსტება და ხშირ შემთხვევებში ილუსტრაციების შეცვლა კი. მაგალითად: ქართული დიალექტოლოგიის ქრესტომათიაში ფერეიდნული ტექსტების ლექსიკონში დადასტურებული გომის ორი მნიშვნელობიდან დავტოვეთ ერთი – სახლის სახურავი, ბანი; მეორე კი – გომური, ბოსელი, საქონლის საზამთრო სადგომი – ამოვიღეთ, რადგან მსგავსი მნიშვნელობით ეს სიტყვა არც ქართულ დიალექტურ კორპუსშია და არც ჩვენმა რესპოდენტებმა დაგვიდასტურეს ფერეიდნში მრავალ ზისი გამოკითხვისას.

რიგ შემთხვევაში სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული წყაროს სტატიები გაერთიანებულია, გამდიდრებულია დამატებითი ინფორმაციით: ემატება ილუსტრაცია, განმარტება ან ფონეტიკური თუ გრამატიკული ვარიაციები სხვა წყაროდან, ან პირიქით, დაშლილია ცალკე სალექსიკონო სტატიებად და ბმების სახით უკავშირდება ერთმანეთს. ეს მაშინ, როცა ფონეტიკური, სიტყვაწარმოებითი ან ფორმაწარმოებითი ვარიაციები სხვადასხვა სოფლის მცხოვრებთა მეტყველების კუთვნილებაა. ასეთ შემთხვევებში მითითებულია სოფლის დასახელებაც, რაც დიალექტის შიდადიფერენციაციის მკრთალი კვალის დაფიქსირებისა და დოკუმენტირების საშუალებას იძლევა.

ასევე ბმულებით არის დაკავშირებული და სინონიმურ ვარიაციებად წარმოდგენილი სხვადასხვა სოფელში დადასტურებული ერთი მნიშვნელობის სიტყვებიც. მაგალითად, ყრალი (ცუდი) – დასტურდება მარტყოფსა და მისი მიმდებარე სოფლებში და ცალკე ლემადაა გატანილი სოფლის მითითებით, გონჯი (ცუდი) კი თორელში, ბონისა და დაშქესანაში. ეს ორი ლემა ერთმანეთს უკავშირდება ბმით: იგივეა რაც. სოფელზე მითითება ასეთ სტატიებსაც ახლავს.

სოფელი, როგორც სალექსიკონო ერთეულის წყარო, მიეთითება მაშინაც, როცა სიტყვა მხოლოდ ამ სოფელშია დადასტურებული და სხვაგან მას არ იცნობენ. ამ ტიპის შეიძლება იყოს ტოპონიმები, პიდრონიმები, შტო-გვარები და ა.შ. სოფელი მიეთითა სოფელ აფუსში ჩაწერილ სიტყვებსაც, რადგან ქართული ლექსიკა ამ სოფელში მცხოვრები სპარსულენოვანი ეთნიკური ქართველების სპარსულ მეტყველებაშია დადასტურებული. მაგ., ლექსიკურ ერთეულებს საქანელა, საგორველა, ზიანა (რძიანა)... მითითებული აქვს სოფელი აფუსი.

ენის „დავიწყებისა“ და „გახსენების“ პროცესი რთული კოლექტიური რეაქციაა კომპლექსურ გარემო პირობებზე. ფერეიდნში ხშირად მოგვისმენია რომელიმე სიტყვის შესახებ: მაგ სიტყვას ჩვენ არ ვიყენებთ, მაგრამ ვიცნობდით ადამიანს, რომელმაც იცოდა და ამბობდაო. კუნძულელებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ასეთი სიტყვების მი-

მართ და აღიქვამენ მათ როგორც თავიანთი იდენტობის არტეფაქტებს. ლექსიკონში შეტანილი გვაქვს ფერეიდნის პირველშეკვლევართა მიერ ჩაწერილი სიტყვები, რომლებსაც თანამედროვე ფერეიდნელები არ იცნობენ. ჩვენ ისინიც სათანადო მახასიათებლით მოვნიშნეთ ლექსიკონში (Old). მართალია, ასეთი სიტყვები ცოტაა, მაგრამ ისინი ძალიან მნიშვნელოვანია ფერეიდნელთა გახლჩილი ენობრივი მესხიერების გასამთლიანებლად.

მშობლიურ კულტურულ გარემოსთან რეინტეგრაციის პროცესმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფერეიდნულ დიალექტში სალიტერატურო ქართულის ლექსიკის წილიც გაზარდა. ჩვენ მიზნად დავისახეთ არა მკვდარი ტექსტური სურათის აღდგენა ამ დიალექტის ლექსიკონის შედგენისას, არამედ კუნძულის განვითარების ყველაზე მოძრავი, ყველაზე ცვალებადი და სამეცნიერო თვალსაზრისით სრულიად შეუსწავლელი ეტაპის ლექსიკოგრაფიული დოკუმენტირება. ამიტომ შემოვიტანეთ ახალი მახასიათებლები ლექსიკის ზოგი ტიპის მოსანიშნად. მაგალითად, სალიტერატურო ენის გავლენით გაჩენილი ინოვაციები მოვნიშნეთ მახასიათებლით New: ბატონო (New), ბეშვი (New) და სხვ. ხოლო, მკდარად დამკვიდრებული სალიტერატურო ფორმები მარკერით – Pseudo, მაგალითად, საკვე – საკეები და სხვ.

კორპუსული გამოცემის კონცეფციით პოლისემიური სიტყვები გატანილია ცალკე სტატიებად: ოჯახი (ოჯახი) 1. ბუზარი; 2. კერია, ოჯახი; 3. ძირი.

ქდკ-ის ფერეიდნულ ლექსიკონში გაერთიანებულია ყველა არსებული წყაროს მონაცემები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მასალა მარტივი ენკლიტიკური ბმითაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ქდკ-ის ლექსიკოგრაფიული რედაქტორი საშუალებას იძლევა, ერთი სალექსიკონო სტატიის ფარგლებში გაამთლიანოს ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის შესახებ არსებული მთელი ინფორმაცია ისე, რომ არ დაიკარგოს ამოსავალ ლექსიკოგრაფიულ წყაროებთან კავშირი.

მაგალითად, თუ ერთი წყარო გვაძლევს ლექსიკურ ერთეულს მხოლოდ ილუსტრაციით, მეორეში მოცემულია განმარტებაც, მესამე აზუსტებს ამ მნიშვნელობას ან წარმოაჩენს ახალს, ქდკ-ის ლექსიკონი ამ ინფორმაციას აერთიანებს ერთ სალექსიკონო სტატიაში და მხოლოდ ამ სტატიას (და არა მთელ ლექსიკონს) მიაწერს სამივე ლექსიკოგრაფიულ წყაროს.

შენიშვნა: ბეჭდურ ვერსიაში ლექსიკოგრაფიული წყაროები არ მიეთითება ცალკეულ სალექსიკონო სტატიასთან, თუმცა, თუ მომხმარებელი კომბინირებულ ძიებას გამოიყენებს კორპუსის ლექსიკონში, ის ადვილად მოიძიებს ცნობებს კონკრეტული სალექსიკონო სტატიის ყველა ავტორის შესახებ.

ლექსიკონზე მუშაობა წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენი ფერეიდნელი რესპოდენტების დახმარების გარეშე. აქ საუბარი არ არის მხოლოდ ტექსტის ან ლექსიკის ჩაწერაზე, ისინი გვეხმარებოდნენ მნიშვნელობების დაზუსტებაში, დიალექტური შიდადიფერენციაციის დადგენასა თუ სპარსულთან ფერეიდნულის ნიშნულების ფონეტიკურ მიმართებაში, ასევე სპარსულიდან ფერეიდნულში შემოსული ლექსიკის მნიშვნელოვანი თუ ნიუანსური

სხვაობების გამოკვეთაში.

ლექსიკონის ბეჭდური ვერსიის კონსულტანტი არის შაჰნაზ რაჰიმი (ნაზი დავითაშვილი), მისმა ფხიზელმა თვალმა და გულმოდგინებამ ბევრი უნებლიე ზარევეზისაგან იხსნა ლექსიკონი.

დიალექტური კუნძულის მთავარი თავისებურებაა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ის გაცნობიერებულ ომშია ასიმილაციურ პროცესებთან. ეს „ომი“ თითოეულ კუნძულელში წარმოშობს ლინგვისტურ სიფხიზლეს, კმნის მათგან ერთგვარ „ნაიურ“ ლინგვისტს. ამიტომ ამ წიგნის შექმნას ვუმაღლით ჩვენს ყველა რესპოდენტს არა მხოლოდ იმისთვის, რომ მათგან მოვიპოვეთ ეს მასალა, არამედ თითქმის სრულფასოვანი პროფესიული თანადგომისა და თანამონაწილეობისათვის.

ყველა მათგანის სახელს ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ქართულ ენობრივ კუნძულს ირანში ჰყავს თავისი გმირები. მათი სახელები ბევრ სხვა წიგნში აისახება, რომელიც ფერეიდანზე შეიქმნება, მაგრამ წიგნი, რომელსაც „ფერეიდნული ლექსიკონი“ ჰქვია, აუცილებლად უნდა დაიწყოს მათ მიმართ მაღლიერების გამოხატვით:

- მუხტარ ასლანი (დარჩიაშვილი)
- ალირეზა რაჰიმი (რეზო დავითაშვილი)
- ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი)
- არია ხოსროვი (ხოსროშვილი)
- აბოლყასემ აჰმადი
- ჰეიდარ ასლანი (დარჩიაშვილი)
- იოსებ ხუციშვილი
- ყოლამრეზა ხუციშვილი
- ისკანდერ (ალექსანდრე) სეფიაშვილი
- ალირეზა (რეზო) ონიკაშვილი
- აზიზოლა სეფიაშვილი
- სედიყე ყალანი
- ყოლათოლა თავაზოპი (თავაძე)
- შაჰნაზ რაჰიმი (ნაზი დავითაშვილი).

ასევე, თავს მოვალედ ვთვლით, მაღლობა გადავუხადოთ ირანის ისლამური რესპუბლიკის სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიას, საქართველოს საელჩოს თეირანში და თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილებას, რომელთა ფასეული დახმარებითაც ქართველმა დიალექტოლოგებმა განახორციელეს წარმატებული სამეცნიერო მივლინებები და სველე სამუშაოები ირანში.

ქღკ-ის ლექსიკოგრაფიული კონცეფციით წინამდებარე ლექსიკონი არის საბაზისო ვერსია უფრო ვრცელი ფერეიდნული ლექსიკონის გამოკემისათვის. ჩენი მიზანი იყო დღეისათვის არსებული ლექსიკოგრაფიული რესურსის მობილიზება, სათანადო ლინგვის-

ტიკური და ლექსიკოლოგიური ინფორმაციით გამდიდრება და ამავე დროს იმ დეფიციტის წარმოჩენა, რომელიც გვაქვს ცალკეული ლექსიკური ერთეულების სრული ლექსიკური და გრამატიკული პარადიგმული სურათის აღსაღვენად.

ის, რომ სალექსიკონო ერთეული, ვარიაციები და ბმულები ლექსიკონში წარმოდგენილია საერთაშორისო ტრანსლიტერაციით, ზრდის მისი, როგორც კვლევითი რესურსის მნიშვნელობას არა მარტო სამამულო სამეცნიერო სივრცეში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

თუ გაეითვალისწინებთ, რომ ქლკ უკვე აღჭურვილია სრული ტრანსლიტერაციის სისტემით, ლექსიკონისა და კორპუსის კომბინირებული გამოყენება ფართოდ არის შესაძლებელი კვლევისა და ციტირებისათვის.

წარმოდგენილი ლექსიკონი ერთ-ერთია ჩვენ მიერ ამ პროექტის ფარგლებში შექმნილი, ქლკ-ზე დამყარებული სამი, ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული, ბეჭდური ლექსიკონიდან, რომლებიც ერთდროულად ნახავს მზის სინათლეს. ესენია:

ფერეიდნული ლექსიკონი

თუშური ლექსიკონი

იმერული ლექსიკონი

თითოეული მათგანი მოწოდებულია, მაქსიმალურად გადმოსცეს დარგში დაგროვილი თითქმის საუკუნოვანი გამოცდილება, შეძლოს არა მხოლოდ დიალექტური ლექსიკის, არამედ მისი შესწავლის მდგომარეობის დოკუმენტირებაც და დაიწყოს ახალი ეტაპი ქართულ დიალექტოგრაფიაში.

სამუშაო ჯგუფი მაღლიერებით მიიღებს ყველა შენიშვნას და გამოიყენებს მას ლექსიკონის შემდგომი სრულყოფისათვის.

ლექსიკონში გამოყენებული ტრანსლიტერაციის ნიშნების ცხრილი:

ა _a	მ _m	ქ _k	ჰ _h
ბ _b	ნ _n	ღ _ğ	ც _E
გ _g	ო _o	ყ _q	ღ _y
დ _d	პ _p	შ _š	ვ _Q
ე _e	ჟ _ž	ჩ _č	ჭ _O
ვ _v	რ _r	ც _c	ფ _F
ზ _z	ს _s	ძ _z	ც _'
თ _t	ტ _t	წ _č	ც _ə
ი _i	უ _u	ჭ _č	
კ _k	ჟ _w	ხ _x	
ლ _l	ფ _p	ჯ _ž	

ლინგვისტიკური მახასიათებლების ნუსხა

ქღკ-ის ლინგვისტიკურ მახასიათებელთა ნუსხა გრძელია და მოიცავს ოთხ ჯგუფს. ესენია: მორფოსინტაქსური მახასიათებლები; სემანტიკური მახასიათებლები; სტრუქტურული მახასიათებლები; სტილისტიკური მახასიათებლები.

ლექსიკონების ფორმირებისას მახასიათებელთა მხოლოდ ის ნაწილი გამოვიყენეთ, რომელიც საკმარისად მივიჩნიეთ ბეჭდური ვერსიის ინფორმაციული რეპრეზენტაციულობისთვის, ხოლო უფრო დეტალური მახასიათებლები, რომლებიც არსებითია კორპუსული ძიებისას, მაგრამ ჭარბია ბეჭდური გამოცემისათვის, მოვაშორეთ. მაგალითად, კორპუსში მონიშნულია კომპოზიტები, ვინ და რა ჯგუფის სახელები და სხვ. ბეჭდურ ვერსიაში კი ასეთი დეტალური აღწერა შედმეტად მივიჩნიეთ.

წარმოვადგენთ იმ მახასიათებელთა სიას, რომლებიც გამოყენებულია ქღკ-ის ფერეიდნულ ლექსიკონში.

გრამატიკული მახასიათებლები		სემანტიკური მახასიათებლები	
არსებითი სახელი / ნომინაციური შესიტყვება	N	ახალი ფორმა	New
ზედსართავი სახელი / ზედსართავი შესიტყვება	A	ძველი ფორმა	Old
რიცხვითი სახელი	Num	ფსევდოლიტერატურული ფორმა	Pseudo
ნაცვალსახელი	Pron	ადამიანის საკუთარი სახელი	Pr
ზმნა / ზმნური შესიტყვება	V	ადგილის სახელი	Top
ზმნიზედა	Adv	ჰიდრონიმი	Hydr
თანდებული	Pstip	ცხოველები	Animal
კავშირი	Cj	ფრინველები	Bird
შორისდებული	Interj	მწერები	Insect
ნაწილაკი	Part	რეპტილია	Reptile
მასდარი / მასდარული შესიტყვება	Msd	თევზი	Fish
მიმღეობა / მიმღეობური შესიტყვება	Ptcp	ტროპული ლექსიკა	Phras
აწმყო	Prs	რიტუალური	Ritual
მყოფადი	Fut	ცეკვა	Dance

მყოფადის კავშირებითი	ConjFut	დააფლება	Disease
აწმყოს ხოლმეობითი	Cond	თამაშობები	Play
აწმყოს კავშირებითი	ConjPrs	ხმა, ხმიანობა	Voice
უწყვეტელი	Impf		
კავშირებითი	Conj		
მეორე ხოლმეობითი	Iter II		
წყვეტილი	Aor		
თურმეობითი I	Result I		
თურმეობითი II	Result II		
მხოლობითი	Sg		
მრავლობითი	Pl		
I, II, III _პირი	1, 2, 3		
ირიბი ნათქვამის -ო	0		
მანის რიგის მრავლობითი I პირი	MPI1		
მანის რიგის მრავლობითი II პირი	MPI2		
მანის რიგის მხოლობითი I პირი	MSg1		
მანის რიგის მხოლობითი II პირი	MSg2		
მეშველი ზმნა	Aux		
სახელობითი	Nom		
მოთხრობითი	Erg		
მიცემითი	Dat		
ნათესაობითი	Gen		
მოქმედებითი	Inst		
ეითარებითი	Ad		
წოდებითი	Voc		
ნაწილაკი -ყე	Ye		
ნაწილაკი -ღა	Gha		
ნაწილაკი -ც	C		
თანღებული -ში	Shi		
თანღებული -ზე	Ze		
თანღებული -ვით	Vit		
საერცობი ა	Long		

ლექსიკონი

5

აბი (A) aabi აბი abi. სპარსული آبی ābi. ცისფერი. ასიმანი ხო აბია.

აშეყი (N) aašcqi აშეყი ašcqi. არაბული قاشعāšcqi. შეყვარებული, მოტრფილუ. *ჰამა, აშეყი ვიყავ თავისი; წაიდა და რო ნახა, ერთ იგეთ დახატულ ყორი იყო, აშეყი შაიქან; ერ ბიჭსა ყორი უნდა, ყორი ეტყის: ქე შენ ხად ჩემ აშეყი შაიქენ; ერთმანერთის აშეყები ვიყენვით.*

აბაბახი (N) ababaxi თურქული. იერიშზე მიმავლთა ყიფინა; მისევა, წაქეზება. *ემ აბაბახი ეგრენ არი, რო ჰაი იკივლუფს კაცი, დედაკაცი და ველს პირზე აი, ეგრე დაიცხეფს. დაიცხეფს, დაიდუფს, დაიცხეფს, დაიდუფს.*

აბადა (Adv) abada არაბული ابادābadan. არასოდეს, არავითარ შემთხვევაში. *სამში შენ და ერთი მეო, თქო: აბადა!*

აბადი (N) abadi აბად abad. სპარსული اباد ābād. ახალშენი, ახალი დასახლება. *ბოინიცი ეგეთი იყო, ჩონსაით რუსტა იყო, ბოინიცი ელ ეს ჩონსაით რუსტა იყო, ემებმამ მოიდენ, აბადი ქენენ; ძრიალ აბადი შოიქინია ირანი და ძრიალ წინ მიჰყავ; ემე ხუმსერელუბმან მოიდენ შაპრი სტანსყენ, მოიდენ ემ ბოინი, აბად ქენენ.*

აბანდავა (Msd) abandva აბანდავს abandavs (V:Sg,3,Prs). სპარსული باند باند band kardan. ყურძნის ჯაგნის ასხმა. *აბანდიანყე ემ ემეჩივა, ერთ ბლახებზევა და დაწინაყე ეს ყურზენი; რაძლა რო დავარლები, გერიმ ამოიტანთ სახლეძჩი, იმას აუბანდავთ და ვაქციდებთ ზამთარსათი.*

აბახშებს (V) abaxšcbs აბახშონ abaxšon

(V:Pl,3,ConjII), აბახშა abaxša (V:Sg,3,Aor). სპარსული بخرشيدbaxšidan. იხ. პატიეება. *აჩუქა. ამა უნდა აბახშონო, ამა რამეს გამაართმენო; იმაშინ რო დაბრუნდეს, ქართველუფს თავით ემე აბახშაყე, მაჟულწყალი აბახშაყე.*

აბაჯი (N) abaxi თურქული آباخijhi. იგეევა რაც ბაჯია. *უფროსი და. ემას ეთქოყე: აბაჯი, ხად მიხოლო?*

აბეზელალი (N) abezelali სპარსული ابعزلال āb-e zelāl. სუფთა წყალი.

აბერუ (N) aberu აბრუ abru. სპარსული ابرāb(c)ru. იხ. აბერუს დაღრა. *ღირსება, ნამუსი. აბერუ დეგელრებისყე, ნამაი არ არი, ხაღღმა გაივოს; ჩემ მაზლეფს და მაზლის ბიჭეფს და დედაკაციეფს უნდათ ეგრე დევემზრახოთყე, ეს ჩონ აბრუ იყო, ჩონ ქეჯაბი იყო.*

აბერუს დაღრა (Msd) aberus dağra სპარსული ابرāb(c)ru. იხ. აბერუ. *ღირსების დაკარგვა, შერცხვენა. ახირ, ნამაი არ არი, კარგი არ არი ეგრე. აბერუ დეგელრებისყე, ნამაი არ არი, ხაღღმა გაივოს.*

აბლიმუ (N) ablimu სპარსული ابلیم āblimu. იხ. ლიმუნი, ლიმუ. ლიმონის წვენი. *გოუჯას აბლიმუს დაეასხამთ, ვმელ ლიმუს ჩოოგდუფთ გემოსათი; ქაბაბი უნდა დაიშქრა, ვორცი უნდა დაიშქრა, ბატა აბლიმუცა იქკრა, ბატა ხახი რანდა კკრა.*

აბლოყინებს (V) abloqinebs აბოყინებს. *აბლოყინებს – ხახსყენ ხო ქარი ომოვა პირსაყენ, როჯისაც ლოყებსა ბერაყს /თორე-ლი/.*

აბონე (N) abone აბონეს abones (N:Pl,Gen). სპარსული. *აბანო. აბონეჩი წაყუანენყე ახანძალს, მასაღან, პარასკევე აბონე დლე იქნებისყე; და ერთმა ბე-*

ჭედი შაბის, ერთმა აბონეს კისა შაბის, ერთმა კალაოტ საოენი შაბის, მითამ შოშოოყართყე ემ ახანძალსა; ეხლა პარ სახლნი თითან აბონე იყო. სუ სახლსდა აბონელა აქლა; ეხლა აღარ არიდა ის აბონე-ბილა.

აბოჰავა (N) abohava სპარსული ا و ه و اب āb-o-havā. კლიმატი. ალაპდორეღლა ნამა აბოჰავა გოქ, ბეჰთარინ აბოჰავა ჩონ გოქ.

აბრეშამი (N) abrešami სპარსული ابریشم abrišam. აბრეშუმი.

აბრი (N) abri ზღაპრული ცხენის სახელი. პარსული ზღაპარი ყოფილა, ცხენის სახელი აბრი იყო, ემაწილებს ქართულად უამბიანყე ემ სახელით.

აბრი (N) abri სპარსული ابر abr. ღრუბელი.

აბროლავება (Msd) abrolavebca აბროლავეფს abrolaveps (V:Sg,3,Prs). იგიევა რაც მოშირძიაღება. იხ. აბრელოვებს, აბროლავეფს. ქარისაგან პაერში დატრიალება მტკრის, ფოთლის და ა.შ. აბროლავეფს ის არი, რო ეს ქარი მოაშირძიაღეფს, აბრუნეფს; ქარი რო სუყეღვნით მოღის, ბუქსავითა, ქარი რო მოა. ეგრე, ბურბუშელასავით, რა ვიცი, რა ვიქო.

აბრუმანდი (A) abrumandi სპარსული ابرومند ābrumand. წესიერი, პატიოსანი, დალაგებული. ნამაჲ ყორია, ქალი ზო ელას ყორ დაძახით ქენა, ნამაჲ ყორია, აბრუმანდია – დაქებენ.

აბუებს (V) abuebs მიათრევს, დაათრევს. მაღალ თანსაკმელი ეცოყე ადრე, მიწასა გვიღეს და მიდივოღეს; ერთი მოხუცმა კაცმა დაინახა ახწაელ დედაკაცი გ ზაში მიდივოღა და ემან მიხედა და თქო: ძაღლმამას ისპაპანის ბაზარი შოოჰამ ნაწყლზე და აბუებს, ათრევს მიწაზე და მიღის. – ეს სი-

ცილსათი იყო /თორელი/.

აბუეება (Msd) abužeba იბუეების ibužebis (V:Sg,3,Prs), აბუეილა abužila (V:Sg,3,Result I). სიცივისგან კანკალი. ეს ემაწილი, მიხე, როგო იბუეების; კოჭული მაჰმად ალიას არცრა არ აცია, სიცივით აბუეილა და ჩემ ამხანაგიც ძეღლსავით აბუეღებია.

აბქეში (N)) abkeši სპარსული ا ب ک ش ābkeš. საწური. ბრინჯი აბქეში ექენ.

აბქეში (N) abkeši სპარსული ا ب ک ش ābkeš. იხ. დამფოხტი. წყალში მომზადებული ბრინჯი, მაკარონი. გაღვარჩევათ და გაერეუხავთ და წყალს დაეასხამთ, მარილს ავადღულავთ და აბქეშს ვიქით და დამზე დაეადგამთ და აგე ზად ბრინჯი მოაღა რო ბრინჯი აბქეში, მაქარანი აბქეში; ავადღუღებთ ზო და გაფწურავთ, დამზე დაეადგამთ და იმაში ქნდები სღა აბქეში.

აბლოტება (Msd) abgōtēba აბლოტება. ეს ემაწილი კედლებზე ებღატების.

აბხორი (N) abxori სპარსული, ტოლჩა. ლამბაქი არი, ჩინი არი, აბხორი არი, ყურია, ესთექანია, ფიაღებია, კოჭობა არი, ყაბღამა არი – სუ რამე გოქ.

აბშარი (N) abšari სპარსული ا ب ش ābšār. ჩანჩქერი. აბშარეღბია თაჩი, მაღსქრის.

აბაზანი (N:Top) abyazani ადგილის სახელი ფერეიდანში. ერთი ეელიც არი ჩუღურეთსა, წონე ძალიან დაზატულ ადგილა არი, იმას ჰქიან აბაზანი, არმინ არ იციის, რაჰთი აბაზანი ჰქიან; აჲ, მე შარშა რო საქართველოჩი ვიყავ და ალაზანი ენახე და მე ვთქი, რო შაიად ის სახელია, აბაზანი ის ალაზანი დოორქომთ, სადაძღა დასახლეღბულან.

აგდაქი (N) agdaki აგდაქს agdaks (N:Sg,Dat). იგივეა რაც ქულუჩა. ტაფაზე შემწვარი ნაზუქის ცომი; რძეში მოხეული და ერბოში მოხრაკული ცომის ნაჭრები. აგდაქი, ხო, ბაიტას, *ემ სისხივებსა გავა-გურუელავეფთ, ავასორსოლავეფთ, ეამტყელეფთ და ჩავაგდებთ, ეს ერბო რო ხიშხიშებს. ზოგი კერცხის გულსაც წაუწომს; ზეთში რო მაიზილო, წყალში მოხელილია, ჩონ ზეთში მოუხელებთყე, ხო, ეხლა კი ერბოსადლა რო გავაწითეფთ და ემებ ჩაფყრითყე, აგდაქი მოაყე წითელ-წითელი.*

აგე (A) age აგეთი agecti. ასეთი. ეაზირმა თქო, რო აგე დღე მოგიტანო, რო ემ შენი სიტყოს ფასუხი იყოს; რა გითხრაო, რო ერთ აგეთი ადამიზადის ხელიგა მიესულვარო, რო ხომ ესეტკლა ვარო.

აგძელებული (A) agycelbuli აყლაყულა. ნამგალი ემეს ეტყევის, ხორბალსა: აგძელებულ, აგძელებულ, სად მიხლო?

ადა (N) ada ადამ adam (N:Sg,Erg). თურქული *ta āta*. იგივეა რაც ადა, კადა, მამა. მამა. *მეტკადა მუშოოფ, ჩემ ადამ დამაქორწილოს, მასლან, დედაკაცი მითხვოს; ადა იყო ჩემი, დაუძახვლით დიდ ამუა ჩემ დიდ ამუამ ამოიდა, თქო: ეს ყორი მე მინდა უთხრო ჩემ ბიჭსაო /თორელი/.*

ადამ ბარფი (N) adam barfi სპარსული *آدام بارفی* adam(e) barfi. თოვლის ბაბუა.

ადამიზადი (N) adamizadi ადამეზადი adamezadi. სპარსული *آدامی‌زاد* adamizād. ადამიანი, ადამიანის შვილი. *თქო: ამუო, მე ერთ ადამეზადი ვარო; შირმა უთხრა: ადამიზად, სად მიხლო, კოი, კაცო, სად მიხლო.*

ადაშიანთ წყარო (N:Hydr) adašiant çqaro. ადაშანთ წყარო adašant çqaro. წყაროს სახელი მარტყოფში /ფერეიდუნშაპ-

რში/. *სეფიანთ მაპლა და ადაშიანთ წყარო, ელა სეფიანთყე არიან.*

ადლი (N) adli არაბული *أدلى* adl. სიგრძის საზომი ერთეული. *მაჯმაზე დავაწყოფთ ითხ ადლი ფარნსა, ფორთაღარსა, ლომუნსა, შირინსა, გახსა; კო, ზოგიერთერთმა ერთი ტყუილი თქო, ერთმა თქო, ერთი კაცი რამ სიმაღლე იყო; ერთმა თქო, მე ერთი კაცი ენახეო, რო ერთი ათ ადლი გადაფრინდისყეო.*

ადრე (Adv) adrc მაღე. ზირინგ ადამიანი უფრო ადრე ფეხზე დადგებოდა, ხო, ზირინგი ყოჩაღია; გადიო, გადი ექითაო, ადრე გამატარე ექითყეო და ემ საზღვარსაყე გადიო და ეგრე ბედი, რო მე მაქო, ემ ბედსაც მამაშორეო; ქაღმა, ჩემყე ფული ისესხა უსაბუთო და ათ დღეზე დამიბრუნა და კაცმა ისესხა, რო ადრე დამიბრუნოს და რაგდენ წელია თოლი გზაზე დამწყდა. გაიჭრეტაე და ჯერ არა ჩანს.

ადრე (Adv) adrc იხ. ადრეულად. ადრე, წინათ, უწინ. *ემ ყორეფსაც გოხარდაყე და დილობის ადრე აყეუნაყე და წაიდა, წაიდა და წაიდა შორეფნი; ყოფილა ადრე, ეხლა აღარ არიდა; ეხლა თარაქთოლით ელუწავთ. ადრე უარებთია და ჩუმფარა და კეკერი იყვისყე იმაშინა.*

ადრეულა (N:Plant) adreula ვაზის ჯიში. ფერეიდანში ამ ჯიშის ყურბენი ქერის აღებამდე მწიფდება. ადრეულა ერთი თვით ადრე მაიწევის. ქერები რო ათეთრდებას, მაშინ მაიწევის, თუ არ მაიკრიფო, დაფორდებას, მარკვლები დაობდებას.

ადრეულად (Adv) adreulad იხ. ადრე. ძველბურად, წინანდებურად. *მე აღარ გამამიკვა, დაშქენანი რო ჩავად, ადრეულად ვიბნა /დაშქენანა/.*

ადუჟება (Msd) adužcba ადუჟავს adužavs

(V:Sg,3,Fut). აფურთხება. აუღუჟაე – თაე-ზე ღემეცემის, ღაუღუჟაე – ფეჟ ზე.

ადულება (Msd) aduğcba დულღე-ბის duğcbbis (V:Sg,3,Prs), ააულღებენ aaduğben (V:Pl,3,Fut). იხ. ადულღებული. ადულღება. დოს ქე ადულღებენ პა, ქალაჯუშს ვიქთ და შაქჭამთ; ემას დავაყრით ზელა, ღაუღღეთ, ეს თითან ადულღების.

ადულღებული (Ptcp) aduğcbuli იხ. ადულღება. ადულღებული, მღულარე. საშუალი გვარის მიმღლეზური ფორმა „მღულარე“ არ დასტურდება. ადულღებულ დოს ჩაასხენეე კისაჩი და გადწურენეე, ის წყალი რო გოოვაყე, იმას ადულღებენ თა ყარაყურეთი შაიქნეს.

აექით (Adv) aekit აი აქეთ. ვეფხიე აექით მიდიოდა ემ კლღე ზე.

ავადანი (Interj) avadani პირუტყვის გასაწყრომი შეძახილი. პირიტყს ეტყვიანეე საწირავს; შე საწირავოო, შე ავადანოო; შე ავადანო! – სიძართლეში ცხენს ეუბნება: გამძრავლდე!

ავადანლული (N) avadanluği სოფელი, დასხლება. ავადანლული ექონდა, ერქო ფარი ზანგელა; ეს უნდაღა წაიყუანოო იგრე შორსაო როო, იმის ანქითყელა ქალაქი, ავადანლული აღარ იყოსღაო.

ავაზი (Msd) avazi ავაზ avaz. სპარსული اوازavazi. ცული ადამიანი. ავაზი ცული ადამიანს ნიშნავს.

ავგარდანი (N) avgardani აუგერდანი aügerdani, აუგერდანი augerdani. სპარსული اباگردان abāgardān. იხ. ბალაღა. სპინდის ჭურჭელი. შენ რო მააწელიყე შენ სახლჩი, ემამაც მოწელის თაის სახლჩი, მაიტანიან ჩონსა, ერთ აუგერდანი მასაღანა, აუგერდანი რა არი? დარფი, მასაღანა. ავაესით; ეხლა ის რო ეიმსეების, იმეფეს

აუგერდანიო, აუგერდანი რომელიც არი, დიდ ეგეთი და დასტამაბულათ, ემით ამადღებენ და წაიღებენ, ჩაასხმენ სხოვან.

ავგირანი (N) avgirani სპარსული اباگیران abgiran. წყლის ჯერი. საღამოთ, სადილთუკან, ოთხ საათზე, როსაც რო ყარარი დაღვეს, რო რა საათზე ავგირანი იყოს, იმ საათზე მეჯარე წაეა და წყალს დაიჭურავს.

აველა (Num) avela ავეელა avvela. არაბული لسا avval. იგივეა რაც პირველა. პირველი. ქორწილი რო უნდა დაიჭირონ, ავეელა ღამეს ის შიდი ცხორი და ის შიდ-შიდი წაილიანყე; ავეელა ყორია, გოგორი, მარიამა ჰქიან.

აველან (Adv) avelan არაბული لا avvalan. იგივეა რაც პირველა. იხ. ავეალი. პირველად, პირველ რიგში. მე მითხრა, აველან მე მითხრა, მეღა რო ვიყაბულე, თავის დეღას უთხრა; აველან, პირველად რო მოვუნიყე – პირველ მოვულეო.

ავერიავება (Msd) averiavcba ავერიავღეს averiavdes (V:Pl,3,Conj II), აივერიავღე aiveriavde (V:Sg,2,Conj II). იხ. ვერიავი. აქარება. თავის სახლჩი ღამით რო არ წაეიდა, თავის ქულფათმა ავერიავღეს და წამოვიღეს საძებარზე.

ავვალი (Num) avvali ავევალბს avvalebsa (N:Pl,Dat), ავევალთა avvalia (N:Aux). იხ. აველან. პირველი. ის ერთ მოღირი ხუთი ქალასს დარს აძლედა: ავევალბს და მეორეებს და მესამეს და მეოთხეს და მეხუთებს; ორ ბიჭი მყავ, ერთი ქელასს ავევალთა, ერთიც მაიტა არი, სე საღა არი ერთიცა, სამშის წლის არი.

ავი ჟამი (N) avi žami მოღრუბლული ამინდი. ღრუბლიან ცაზე იტყიან.

ავსარა (N) avsara სპარსული افسار afsār.

იგივეა რაც ღაძნა. აეშარა.

ავსება (Msd) avšeba იხ. აქსის აღება. ჩაწერა მავნიტოფონზე, ვიდუოკამერიით. ჩონ ვიტყით, რო მავნიტაფონნი ავაესოთ, არ ვიტყით ჩავწეროთ /მარტყოფი (ფერევი-დუნშაპრი)/.

ავღათალზობა (N) avğatalxoba სპარსული اوقات اوقات ouqāttalxi. გულისწერობა, უსიამოვნება. ბენაი ქნა, რო ემამ ავღათალზობა ემასთანა აბაიტანოს.

აზ az სპარსული წინდებული ა az. -დან.

აზ მიუნ რაფთ az miun raFt აზ მიუნ რაფტ az miun raFt. სპარსული ازميان رافت az miyān raftan. გარდაიცვალა. ისიც რო მუცელნი მუშანდა ემაწილი, ისიც აზ მიუნ რაფთ; მამიკდა მეორე დღეს, გული გოოსქდალა და ისიც რო მუცელნი მუშანდა, ისიც აზ მიუნ რაფტ.

აზადი (A) azadi სპარსული ازاآزاد. თავისუფალი. ჩემ ჯგანი აზადი ქენო; ეს კაცი გაანთავისუფლავეს, აზადი ექენით.

აზადრობა (Msd) azadroba სპარსული ازاآزاداري azādāri. მგლოვიარობა. იმ დღეფინინაც ჩონ აზადრობა არი, იანი, იმ დღეფინინ არ გაიცინეფთ და არ ვიკითხეთ და ნამა არ ვილაპარაკეფთ.

აზაფა (Msd) azaFa აზაფას azaFas (N:Sg,Dat). არაბული اذافاذafāf. მიმატება, დამატება, ზედმეტი. იმინთინაც ელა აზაფა გოქ; თავის ბარამარს ფულს მიეკემ, იყიდოს, ბატას აზაფას მიტყემ.

აზიდვა (Msd) azidva აზიდვ ayzide (V:Sg,2,Aor), აიზიდეს aizides (V:Pl,3,Aor). იხ. ჩაზიდვა. აწევა. ტელევიზორის, რადიოს და მისთ. ხმის მომატება; სინათლის მომატება /ლამპისთვის/; სიმძიმის

აწევა. აიზიდეს და ეს ბიჭიც ავიდა და რო ავიდა, ეს თამამ ზადლი გაკირდა, რო როგორა ამოვიდა ესეო?

აზმაიშგა (N) azmaišga აზმაიშგა azmayšga. სპარსული ازمایشگاه azmāyēšgāh. ლაბორატორია. წელსაც ვასაველი მოოტანეთეე ემაწილუფეს, აზმაიშგას ვასილა, ესეგი რო ისე იმეფეს რო იკითხვენ, ამალიც ნახონ. ესეგი აღან გოქ მადრესანი.

აზმანდ დამკარ დამდივეო, წისქილის კარამდი მამდივეო (V:Play Phras) azmand damkar damdivco, çiskilis karamdi mamdivco იხ. აზმანდურობა. დაჭერობანას /აზმანდურობის/ თამაშის დროს სათქმელი ტექსტი. აზმანდ დამკარ, დამდივეო, წისქილის კარამდი მამდივეო! – იტყიანეე.

აზმანდურობა (N:Play) azmanduroba აზმანდუ azmandu. აზმანდობა azmandoba (N). სპარსული ازمان داري az man duri. იხ. აზმანდ დამკარ დამდივეო, წისქილის კარამდი მამდივეო. დაჭერობანა. დედაკაცური არის აზმანდუ, მეც არ ვიცი, დედაკაცებმა იციან; აზმანდურობა, აზმანდურობა არი, ხო, აზმანდობა.

აზნოუ (Adv) aznou აზნოუ aznou. სპარსული ازا ازا az now. თავიდან, ზელაზლა. თავტახონს დავდეფთ და აზნოუ საფანელს გავცრით და გუნდას შავიქო და ჩავაკარეთ; საღომის წაილენეე, ღამით დადგებინაეე ანქა და დილობისაცა მაძაწელვენ და დალაგებენ და მოვლენ თავით სახლებნი, კიდემ საღომის აზნოუ წაილენ.

ათაეება (Msd) ataveba ამითაეებია amitavebia (V:Sg,1,Result I), აათაეებენ aataveben (V:Pl,3,Fut). დამთავრება. ჭკერაე, ჭკერ არ ათაეებულა. ესეგი ამითაეებია, უნდ ეხლა მოიღეს, წაილოს; ჩირჩირი,

ყალიბას რო მაქსოვენ და ყალიბას ქსოვა დამთავრდების და აათაებენ, ხო იმ ბოლოს დავარდების.

ათრი (N) atrī არაბული عطر atr. სუნამო. ქენ ოთქოლონს დანუძახით. იგეთ ნამაჲ ერბო'რი, რო აველან ათრის სული ადღის, ათრის სული ადღის, იგეთ ნამაჲ ერბო'რი.

ათხლეფა (Msd) atxlcpa ათხლეფავ atxlcpav (V:Sg,2). საქმის არევა. ნუ ათხლეფავ ერთ რამეს.

აი როი არშია ai roi aršia იგივეა რაც პოტოროტორო. მასხარა, სასაცილო, უშნოდ ჩაცმული. მარტყოფში იტყვიან: აი როი არშია /მარტყოფი/ფერეიდუნშაპრი/.

აიათი (N) aiati არაბული ايات hayāt. ეზო.

აიბი (N) aibi აიბი aybi. არაბული ايبي eybi. ნაკლი. აიბი არ აქ ხო/?არა უშავს, ხომ/?; და თქო, რო მეო ერთი აიბი მაქო, გეტყვიო და თუ მიყაბულეფთო, გამოვყებიო, თუკი არაო, აბა, რათ გინდაო.

აირსადგური (N) airsadguri აეროზორტი.

აკინწულა (A) akinčula აცმა. აკინძულა – რაგდენ რამე რო ერთად გაკეთდების; ერთმანეთი დაკინწული. დამონტაჟება, ერთმანერთზე აკინწა.

აკირკიალება (Msd) akirkialcba აკირკიალფს akirkialeps (V:Sg,3,Prs). აციმციმება. აკირკიალებსო, აკირკიალებს იცი, რას ნიშნავს? – შენ ცეცხლს რაით გააკეთებე, რო გინდა ჩეფური მოიღვა, სივარი რო მოიღვა და ასანთი არ იყოს? – სარკეთითა, ან დლოშერავ შუქისთვის ან, რო მზე ჩეარდების და გუვლები, ის რო დეეცემისეყ ამაზე –კირკიალი. თორე აკირკიალებსო,ნათელა, თორეს კირკიალი დვა.

აკლამკაჩა (A) aklamkača გამხდარი ად-

მანი. აი როგოი აკლამკაჩა'რი. გამხდარი, კრძელ ფეხებით.

აკოკოლავება (Msd) akokolaveba ააკოკოლავეიან akokolavian (V:Pl,3,Prs). იხ. ხუხულა, კოკოლა. კოკოლას გაკეთება, აკოკოლავება. კოკოლა, ააკოკოლავეიან ექსიმალე, ექსიდე, შით შაიდიანეყ ოთახსავით.

აკორკოტება (Msd:Phras) akorkotcba ვაკორკოტავ vakorkotav (V:Sg,1,Prs), აკორკოტებს akorkotcbs (V:Sg,3,Prs). ჩქარ-ჩქარა, სხანასხუპით ლაპარაკი. ბევრს ლაპარაკობს და არ ეტყობის, რას აკორკოტებს.

აკრა (Msd) akra დანებება. თავის დანებება. თავი ოუკარა! / თავი დანებე, მოიცილე! /; ჩონ უგუკარ /ჩვენთან აღარ მეგობრობ/.

აკუმშავებს (V) akumšavebs მოაგუნდავენებს. ერთ ბიჭმა თოვლი მაკუმშავა. გაზილა, სხოს მაძხდა თოლში და დაქორავა.

აღალიობა (N:Play) alalioba ქამარბანდით თამაში. აღალიობა, აღალიობა, მასალანა, ელ ეგრე დაიც ხიანეყ, ქამარბანდითა დცემდინეყ ერთსა; აღალიობაცა, აღალიობაცა, ხო, მა რა იყო, მე ფთქი, რო ეგრე ერთი კელ დაიდება ეგრე და ქამარბანდითა დცემენ.

აღან (Adv) alan აღანა alana. არაბული انال'ān. ასლა. აღან გაუგ ზენი მაიყუანონ, გითარიჩავს ერთ იგეთ ზადიდა; მეეო ჯეილი ვარო და აღანაცარო და ქორწილიც, ელა, არ მიქინიარო.

აღაფა (N:Plant) alapa აღაფას alapas (N:Sg,Dat). არაბული افاف alaf. შერეული, სხვადასხვა ბალახი, გათიბული. აღაფას ვეძახით, აღაფას, რამდენდა ბალახი რო აირეის, ეს არის აღაფა. გახმების, გაილე-

წავ, მოიტან, ჩაიყრი საბძელნი, ზამთრის იმას აჭმევ, რავდენ რანგი ბლახიცლა რო ამოღის, თიბავ; ალაფას ექახით, ალაფაო, არეულიადა რო არი: ზოლარნი, ყანლარნი, შავინჯკა არი.

ალაფათ ციკანი (N:Pr) alapat cicani შტო-გვარი ფერეიდანში. ალაფა იმნაირი ბლახია, მაიტანენყე, რო ზამთარნი დოოყარონ, იქეფნი ბეური ციკანი მინდორნი, იმაზე დოორქომეყე ალაფათ ციკანი.

ალაფება (Msd) alapcba ალაფდა alapda (V:Sg,3,Aor), ალაფაო aalapao (V:Sg,3,Aor, 0), ალაფების alapdebis (V:3,Prs). ატალახება, ალაფება. წიმა მოიდადა ბეშმა წყაღში გაირბინდა ალაფა; – რას ალაფებ! ბეერ წყალი დავისხამ.

ალაფობას დამე (N) alapobas game იხ. სულის ადინება. ნოერუზის წინა დამე, მიცვალებულთა სულების მოსახსენიებელი. ალაფობას დამე, ამადამ ალაფობას დამე არი, სუალ დამა ნაურუზ დამე არი, ერთ დამე წინ არი; ამეფსათი, მასლან, ალაფობას დამე იყო, მასლან, სული ადინეეო.

ალაჰაზრათი (N) alahazrati არაბული اﻟﺤﺎﺯﺭﺍﺕ a'la-hazrat. მისი უდიდებულესობა – მეფეზე იტყვიან.

ალაჰედა (Adv) alaheda არაბული اﻟﺤﺎﺯﺭﺍﺕ alahed(d)e. ცალკე. ქალები ალაჰედად იშუშპრებენ, კაცები ალაჰედად, ჯაიღები ალაჰედად.

ალბათა (Adv) albata ალბათ albat. არაბული اﻟﺒﺎﺗﺔ albatte. რა თქმა უნდა, ნამდვილად. ერ ძმა გყანდა, ხო დედა, მამაც ხო ალბათა; შეიძლება ალბათ უშაკდობა არ არი. ეიცო რო შაკდობა არი.

ალბალუ (N) albalu ალუბალუ alubalu, ალუბალი alobali. იგივეა რაც ალუბალი.

სპარსული اﻟﺒﺎﻟﺒﺎﻟﺒﺎﻟﺒﺎ. ალუბალი. ემას დავაყრით ზედა, დანუდეთ, ეს თითან ადულდების, დახატულად მორაბბა შაიქნების, მოუაბბათე აღბალუ.

ალემი (A) alemi არაბული اﻟﻌﻤﻰ alem. იხ. ელმი. წერა-კითხვის მცოდნე. ალემი შაიქნების – ბეერი ცოდნა აქ, ბეერ რამე იციის, ალემ კაცია.

ალექბე (N) alcFbc ალექბაე alcFbac. სპარსული اﻟﺤﻔﺒﺔ alcFbā. აზნანი. პირველი აზნანი, რო ალექბე იყოს, ფიცარით – რო თახტა იყოს – ხელით დავაკეთეთ, მე – მუხტარა, ჰილარამ და მანსურ ასლანიმ და ჰოსენე ყაღანიმ; ემ ქეთაბებსაყე, ათლასსაყე, დინსაყე, თავით ალექბაე ფარსისა – ამეფს ეასწავლოტყე.

ალვარი (N) alvari სპარსული اﻟﻮﺍﺭﻯ alvar. თამასა. გოხი ნაწილ-ნაწილეთ ზომებზე გაჭკერი, ემას გაჭრილოს ეტყვიან ალვარი /ახჩა/.

ალვი (N:Old) alvi იგივეა რაც ჰალავი. ალი.

ალიბობოლი (N:Pr) aliboboli შტო-გვარი ფერეიდანში. კონტოლანი – კონტოლა მოხრილი არი, ეგეთი, ალიბობოლი, თეთრფეხანი, ალიბობოლი, კუხრიანი, იქ, საქართველონი კოხრიანები არიან.

ალიბოხარა (N:Plant) aliboxara სპარსული اﻟﺨﺎﺑﻮﺧﺎﺭﺍ aluboxārā. ქლიავის ჯიში. ჩემ ბიძანთაყე ნაქერაღრი ხეებია დ ამ ხეებს, მასლან, ალიბოხარა აყე და ჭერეში აყე და ტყემალი ასხია და ეგეთ მივებია, ხილია, მივიც არი, კაკალი არი, ნუში არი, ჰარზადი არი; ბაღუმრიაყ ხილი, კაკალი არი, ჭერეში არი, ალიბოხარა არი, ტყემალი არი და ყურუზენი, რაქთენ რაყამია.

ალიმაქანი (N:Top) alimakani ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშაქრში).

დილობას რო ადგებიან, ეხლა, ზაფხულია, ზაფხულზე წაყლენ ეილაღზე, ყიშლაღზე, დიზნი, აღიმაქანი, ექებნი წაყლენ.

აღიხანის გორა (N:Top) alixanis gora ადგილი ახნაში. ამის თავზე საფლაკები არიან, ყადიმანდელ, წინანდელ საფლაკები ყოფილან, ეხლა დაიძახიდიან ქე აღიხანის გორა.

აღმანი (N) almani აღმანს almans (N:Sg,Dat). იგივეა რაც ხარისფსელა. ქსოვის სახე. პა, კარის ფსელა არი, საღობი აღმანი, აღმანი აღმანი ივეისყე, საღობი აღმანი; იმაში მოიტანიტყე, მისაცთ როგოდ უღოდა, გაძაბისყე, ერთსა აღმანს დაიძახოდე, ერთს სადას დაიძახოდე, ერთს გერდაძმას დაიძახოდე, ეგეთ, ეგეთ რანგებერანგილა მოქქსოვიტყე ეგეთი.

აღმანი (N) almani აღმანელი almaneli (N). ფრანგული *alman*. იხ. აღმანია. გერმანელი.

აღმანია (N:Top) almania ფრანგული. იხ. აღმანი. გერმანია.

აღუბალი (N:New) alubali იგივეა რაც აღბალუ. აღუბალი. აღუბალს მოიტანთ, დაბატულად გოურეცხეთ; აღუბალს, ლეღისა, გამოიღეფეთყე კურკას და ეხლა კი იმაში ავადუღეფეთყე შაქარჩი და გაეკეთეფეთყე.

აღქათი (A) alkati აღქათი alkati. მწირო, ხირხატი. ხირხატი მიწა, მწირო, ქვიანი ადგილი. რო გახმის, დაძთახრიან და წაიღიან აღქათი მიწები, აღქათი, ხირხატი, აღქათი მიწას ეძახიან იმ ხირხატსაცა და იმებჩი იყრიდეს და იხმარებდეს.

აღჰამდორელა alhamdorela აღჰამდორელა alhamdorella. არაბული *الحمد* alhamdolellāh. მაღლობა ღმერთს. აღჰამდორელა ეაზიც ნამა გოქ, ჭამა-დაღეკა

გოქ, სუ რამეც ნამა გოქ, აღჰამდორელა ზენდეგი, მაღუ ღონიაც ექთენი გოქ, ქი ველი არ გაეაწუღეთ ვარაზე; აღჰამდორელა ნამა აბოჰაეა გოქ, ბეჰთარინ აბოჰაეა ჩონ გოქ.

ამა (Cj) ama ამმა amma. არაბული *ama* ammā. მაგრამ. იმაში იგრე იყო, ამა ეხლა იგრე აღარ არი; კო, ქართველობენ, ამა ქართველ სეიადი არა იქნდეს; მე დაშქესნელი ვარ, ამმა ბოინჩი ზენდენგის ვიქ.

ამადა (A) amada სპარსული *amādamāde*. მზა. ბრინჯი სადილზედ რო მუაღ, ამადა არი.

ამალა (N) amala ამალებს amalebs (N:Pl,Dat). არაბული *amale*. მუშა, რამდენიმე მუშა. ყეინის ყორმა უთხრა, რო წადი, რაძლა რო გეჭირების მუშა და ამაღა, შააქურეო და დაყენეყე ფეის თხრასი და მუშაობაზე; თითანაც ყეინის ყორი დღისით ადგის და წაყიდოს, მიჰხედისყე უსტას და ამალებს.

ამალზე მოსვლა (Msd) amalze mosvla იხ. ამალი. გაკეთება, შესრულება, მოზადება. ამალზე მოდის; და ბად რო ადუღედების, ამალზე მუა, არიშტას ჩაყერიო, გამოზღეფთ და ბადიეფჩი დავასხათ და მიეკემთეყ; ჰამ კომშს ვიტყით. დავახურდავებთ, ჩაყერიო ემ შირაჩი, შაიქნების მორაბბა. ეს ჩონყენ ამალზე მუა, ჩონ ველსაყენ გამუა.

ამალი (N) amali არაბული *amal*. იხ. ამალზე მოსვლა, ამალის ქმნა. საქმე. წადი ამმას უთხარ-მეთქი, რო ემ ამაღლასათი არ მოხიდე.

ამალოს ქმნა (Msd) amalis kmna ამალი მიქნია amali miknia (V:Sg,1,Result I), ამალი ჭქენ amali Fkcn (V:Sg,1,Aor). არაბული *amal*. იხ. ამალი. ოპერაციის გაკეთება. თოღები ამალი მიქნია; თოღები

ამალი ქვენ და ველარ დავაკრავ პურს.

ამანათი (N) amanati არაბული امانات amānat. საიდუმლო. მაგალ ვობზე ვიყავ, დავინახე, ამანათი შავინახე.

ამარათი (N) amarati ამარათის amaratis (N:Sg,Gen), ამარათები amaratchbi (N:Pl,Nom), ამარათში amaratši (N:Nom,Shi). არაბული امارات amārat. კარგი შენობა, ნაგებობა. ისიო გასულაო შაპრის ქენარზეგაო, დიდი ამარათი გოუკეთებია, რო ვეინსაც არა აქო; ეს ამარათი აქ, ეხლა მეჩეთია; და ესლა ჯგალათთ გაძეუანის ამ, მასლან, ერთი ემე ამარათი იქქონდა ბირუნიჩივა თ მთარაფზე.

ამასქრის (V) amasčkris ამოჩქეფს. ამოჩქეფს წყალი. ნაქერალში ბაღების ქეშ წყაროები ამასქრის.

ამალამ (Adv) amağam იმ დამეს, ასეთ დამეს. ამალამ რო წავალთ, ნათხონს ვითხოვთ სამნი, ოთხნი, ხუთნი წავალთყე, მასლან, რო შირბაკა ვაეჭვრათ; დახატულად ამალამ ქე, მასლან, ცხორი დოოყლავეყე ემ ჯაპირიებსა.

ამალამ (Adv) amağam ემალამ cmağam. იხ. ამალამი. ამალამ. ამალამ ავანთებენყე კოლოები; ექ ავ ზანა კაცები, ამალამ უნდესენ დაიჭიროსყე; ჩონ უნდ ამალამ ექ გ ზა მოენახოთ, გაიდეთო და ექ ემეს კელჩი კი არ მოიდეთ – ტერი სო;

ამალამი (N) amağami იხ. ამალამ, სუაღლაში. ეს დამე. ეხლად ამალამი რო შაიქების, დილობისლა ამონე დღელა ვოქ; და ამალამიე რო გაილის, კიდენ თაის მეორე დღეს ამონე დღეები ვოქ; დღეში ვართ და დამდედა. – ეს არი ამალამი.

ამაღლობას ქუა (N) amağlobas kua დიდი ლოდის სახელია ფერეიდუნშაპრში. ამალ-

ლობას ქუა. დიდი, დაბლა, ა ემ ლელერი რო ჩადის, დიდი, დიდ ლოდი ვლია, ქუა. ანს არი, ამაღლობას ქუას ვეძახით.

ამაღწოვს (V) amayçovs ამაღწოვა amayçova (V:Sg,3,Aor). ამოწოვს. ამამწოვს. – ვმაცილი დელას ძუძუს წოვს.

ამაღწიწაკოთ (V: Phras) amayçiçağot ამაღწიწაკენო amayçiçağneno (V:3,Conj II,0). წყველა, გაწყენენ!

ამბავის წატანა (Msd) ambavis çağana იხ. ამბავია. ამბის მოტანა. ამბავის წატანა და მოტანა

ამბავია (A) ambavčia ამბავებით ambavčbit (A:Inst,Pl). იხ. ენათხელა, ამბავის წატანა. გრძელი ენის მქონე, ამბის მიმტან-მომტანი. ამბავია სიტყოს ვერ შანახამს, მავასთან ნუ იტყვი, ოსაი პირი არ დოოლებდის, ენათხელა არი; ამბავია, ამბავია რა არი? – ამბავი ჩემი მოიქ იმასთან.

ამზადი (A) amzadi სარსული احماد hamzād. იხ. პარზადი. ამხელა, ამნაირი. ახლა ბრინჯი ბევრი მოდის, იმ წინა ბრინჯი ერთ დამეს შაქინანყე. ისიც ნაერუ ზის დამესა. ყაფს დაძახოდიანყე, რო წოოლონ თავით ქალეფსა, თავით დეფსა, თავით ამზადეფსა წოოლონ, წომოოლონ.

ამზევრება (Msd) amzavrēba ამზეველება amzvrēba. აამზეველებს aamzvrēbs (V:Sg,3,Fut). იგივეა რაც გამამზევრება. გამომზევრება.

ამთქნარებს (V) amtknarebs ამთქნარებს. ამთქნარებს – როდისაც ეძინების და მაღალე პირსა აღებს.

ამია (N) amia არაბული امة amu. იხ. ამუა. ბიძა, მამის ძმა/ახმა/.

ამითი (Pron) amiti ემათი emati. იხ. იმი-

თი. ამითი. *ჩონ სახლი ექ არი, რო გათხოვილვარ, მოსულვარ, ჩონ ზენდეგანი ექ არი, ამითი ანქ არი; რუისპირზე გახაზისყე, იქითყე ექამდი ემათიარ.*

ამირას მაზრა (N:Top) amiras mazra არაბული *أمير* amira'cyc amir. ადგილის სახელი მარტყოფში (ფერეიდნშაქრში). *გ ზა ქეაყრილსაყე მიდის ასტორაიჩი და ყირმის გუნაიზე ამირას მაზრანი, აღო მაქანის ყელზე, მაზანის ყელზე; თახტესანგის ლელუზე, ქოფრის ნამქერი, ფიჩების ყელი, დათების ლელუ და ლოდიანი, ნატუსი, დიმდარა, მოდამ წყარო და ჩალიანი, რო ზუფხულჩი ბადლი იქ მიდივოდა იილაღზე.*

ბატ-ბატა (A) ba| – ba|a ბატპატა ba|pa|a. ბატ-ბატები ba|–ba|cbi (A). ცოტ-ცოტა; თითო-ორი. სუ ელა ცხენ იყვისყე, ბატ-პატამაცა ვირები, რო ცხენი არა ჰყვანდისყე, ვირებით წადიანყე; ბატ-ბატა გაჰყიდისყე, ზოგი ცოტა რო არი, შაინაზყეე თავისთი.

ბატკანი (N:Animal) ba|kani ბატკანის ba|kanis (N:Sg,Gen). ბატკანი. ცხვრის ნაშიერი. მასალან, ემ ხიშებმა, რო ძმეები იყნეს, თითომ ერთ ბატკანი წაიყუნანეს და წინ დოაკლეს; ბატკანის ბატკანის მატყლსა და ცხვრის მატყლსა ფარყი დადვიანჰე.

ბატკანის ბალახი (N:Plant) ba|kanis balaxi ერთგვარი ბალახი.

ბაგალა (N:Plant) bağala ლობიო, პარკოსანი მარცველული. ბაგალა, ქართულია ლობია; ბაგალა, ჩონ ქარსულად დავძახით – ბაგალა. ეხლა კი, ანს გძეღუბი არი, რო ნუხუდოსავით არი, ემას დავძახით – ბაგალა.

ბაგერას წყარო (N:Hydr) bağeras çqaro წყაროს სახელი მარტყოფში (ფერეიდნუშაჰრში). ბაგერას წყარო ჩემ ბიძანთ სახლთან არი.

ბაღი (N) bağı ვენახი. ერთ ბერ კაცი იყო, ერთ ნაშად ბაღი ემ გუსტუქანს ჰქონდა, ნაშად ბაღი, რო ყურძენები დაიჭერდა; პაპას ბაღი – შევი შიგა, ვენახი შიგა; ჩონ ბაღიც იქ იყო, დელასია, რო ჩემ თავის მამასი გაკეთებული ბეჭი, ორი ემ ქენ სახლის ოღენი და უფრო დიდი, ისი თავის

შვილფესათი ეთქო, რო ეს ვინც ვ ზაურმა, მოიდა, ექით ყურზენი დაკრიფა, შაჭამა, დალოჯა არმის ემომა არა აქ რო იმას უთხრა რატო! ესე ვ ზაურიან არიო ეს ყურზენები, ეს ვენახებო, ვინც ვ ზაური გადის და გამოიღოსო, უნდაო მოიღეს, შაჭამოს, არვის არ უნდა უთხრასო, რო რატო, რაათიო?

ბაღლინჯა (N:Insect) bağlinğa ბაღლინჯო. ერთ ჭიაა, რო ადამიანს მამძებნის და მყარალ სუნე აქ. თუ ერთი შაბდა სახლჩი, ბევრს იბარტყებს, მალე დამეტღების; ეხლა აღარ არი ბაღლინჯა, აღარ ჩავარდების, აღარ არი.

ბაღჩა (N) bağča ბაჩჩა baxča. ბაჩჩა. ერთი სახლი მაქ ჩუღრუთჩიგა და ერთი ბაღჩა მაქ სოფელჩიგა.

ბაყარაგოლი (N:Top) baqaragoli ადგილის სახელი აფუსში.

ბაყაყი (N:Old:Animal) baqaqi იგვიერაო ცოტი. ბაყაყი.

ბაბაყუა (N:Old:Animal) baqaqua იგვიერაო ცოტი, ბაყაყი. ბაყაყი.

ბაშად (Interj) başad სპარსული *باشباشاد*. იყოს, კეთილი, კარგი. გამოიყენება თანხმობის ნიშნად. დედ-მამაც იტყის: რა ვიცი, თუ ყორმა იყაბულა, ბაშადო, თუ ბიჭმა იყაბულა, ბაშადო. მაბატა, წაიდეთ ბატ შე, ებ ერთ რამე გამოიტანოთო. თქო: ბაშად; ანსენიც იტყის, რო, მასან, თუ იყაბულეს, იტყის, რო, ბაშად! და, მასალან, მოილუნდა და ბაღუას წაიღებენ და ბაღუას დაავდებენ.

ბაჭუალა (A:Phras) baçuala ყველაფერ პატარას ჰქვია ბაჭუალა.

ბაჭუალა (N:Plant) baçuala ბაჭუა baçua (N). მცენარის პატარა აღმონაცენი მძივის სახის. ხახის ბაჭუალა; ხახის ბაჭუა რო

გამწონებულა, ნამაი არ არი.

ბახ-ბახი (Interj:Voice) bax-baxi სპარსული და ۴ bah bah. მოწონების შეძახილი – ამ შეძახილით ართობენ ჭამის დროს პატარას.

ბახშდარი (N) baxšdari სპარსული بادشدار baxšdār. სოფლის გამგებელი, ხელმძღვანელი. *ფარშუნდარი ჰყავ, ბახშდარი ჰყავ ბოინს.*

ბახშიას წყარო (N:Hydr) baxšias çqaro წყაროს სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშადრში). *ბახშიას წყარო, ჩქრიალა, თანდილას წყარო, მუღამ წყარო, კუეის წყარო, ნაქერაღის წყარო.*

ბაჯანაღი (N) bažanagi თურქული باجناق bajnaq. ცოლისა. *ჩემ დედაკაცის და ჩემ ბაჯანაღი შაიქნების.*

ბაჯია (N) bažia თურქული اجباجي. იგივეა რაც აბაჯი. უფროსი და. *დასა თუ დიღია ხო – ბაჯია და თუ ბაიბა არი, ხო – სახე-ლილა. ჩონყე დიღია, მასლან, ბაჯია; ეს ბაჯია ბაჯია არი, ჩემ მახლის ყორია.*

ბაჰა (N) baha სპარსული ۴ bahā. იხ. შირბაჰას გამოართმევა, შირბაჰა. ფასი. *ისპაანჩი და ფარსულეფჩი ერთ ვახშამსა ახანძალი და ნეფე ბაჰა მისცემენ.*

ბაჰამ (Adv) baham სპარსული ۴ bahā. *ერთად. წუხელის რო ბაჰამ გაადეს თითთან და თაის აჯა; თქო, რო ხო მოდი და ბაჰამ ამოდილოთ და გაფყოთო.*

ბე (Pstp) be სპარსული წინდებული ۴ bc. *სოფელბესოფელ. /სოფელ-სოფელ/; დილობის ბე ომიდე ხოდა, ბე ომიდე ხოდა, სადილობა შაიქნების.*

ბე ემამ რეზა be emam reza სპარსული ۴ ۴ be emām rezā. ფიცა, ვფიცავ იმამ რეზას. *ეს ყმაწილეები ჩემ ვეღრი გაიზღენ*

არც რამე გოქ, შაფჭამოთ, არც რამე გოქ, დაველივოთ, არც რამე გოქ, აილოთ, არც რამე გოქ, დუღვათ, არა ვაჯა! ბე ემამ რეზა! ეხლა შენი არ იყოს, ეგრენ არი და დუნია ეგრენ არი.

ბე ომიდე ხოდა be omide xoda სპარსული ۴ be omide xodā. ღმერთის იმედით. *დილობის ბე ომიდე ხოდა, ბე ომიდე ხოდა სადილობა შაიქნების; ახანზალიანთას, ერთ ოთაღრი დააწყობენ დახატულად, ბე ომიდე ხოდა, თა, დახატულად, იტყიან: აი მოდიოთო, აი მოდიოთო, ეს ახანზალის ჯაჰაშაო.*

ბებელა (N:Insect) bebela იგივეა რაც პეპელა. პეპელა /აფუსი/.

ბებერა (A) bebbera ბებერი. და მე, მასან, მითხრისეყო, შენ ერთ ბებერა კაცს შაბრათავო.

ბებიას წყარო (N:Hydr) bebias çqaro წყაროს სახელი მარტყოფში (ფერეიდუნშადრში). *ყანდი და ჩაი აილოთ და წაიდეთ ბებიას წყაროზე დაფსხლეთ.*

ბებრი (N:Insect) bebri იგივეა რაც ბუბერა. იხ. ბებრის ბუღე. ობობა /თორელი/.

ბებრის ბუღე (N) bebris buče იხ. ბებრი. ალაბუღა /თორელი/.

ბეგარი (A) begari ბეგარნი begarni (A:OldPI), დაბეგრებულვარ dabcgrbulvar (V:Sg,1,Aux). სპარსული ۴ بگاری bigāri. ბეგარით მომუშავე. *ჩონ ბეგარნი ვიყნევით, ყორები; არ დაბეგრებულვარ.*

ბეღრი (N:Plant) bedri იხ. ზუღრეს ყურბენი. ვაზის სახეობა. მტვეანი მრგვალი, დიდი მარცვლებით. *სადრედ, ადრედ რო იწვეის, ერთი ის არი, ჰა, ის სახელები რო მე ვიცი,*

ერთი ბედრია.

ბევრსაკენ ბევრი (A) bevrşakēn bevrī ძაღლიან ბევრი. ჩემი ბებიამ ბევრსაკენ ბევრი მოგიკითხა.

ბევრსხანი (Adv) bevrşxani ბევრსხანია bevrşxania (Adv:Aux) დიდი ხანი. ის ქართული ბევრსხანია, აღარ არი იგეთ კითხვა; ბევრსხანი იქ იყნეს და იმამინ გერიბ გადმოიღღეს თავით მიწა-წყალზე.

ბელაქანი (N:Pr) belakani შტო-გვარი მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში).

ბელაყუნა (N) belāquna ხელით შესადღეები ხის დიდი ჯოხი. წელას ვიქმოდი, წელასა შედღებედი, იმამინ ქენ იყით, არ ვიცი ბელაყუნა რა არი, ბელაყუნა; ბელაყუნა ჯოხით გაკეთებულა, ბელაყარჯანსაგით, როდისაყ წელას ჩასხმენ ქოთანში და ხელით შეიდღებენ, კარაქი გამაიღონ /თორელი/.

ბელახარა (Adv) belaxara ბელაპარა belahara. არაბული عـخـلـا belāxare. ბოლოს და ბოლოს. ადგეს და ბეური ეძებეს და ბელახარა ანს კაცი მონახესლა ანს კაცო რო, მასჯან, სერვათმანდი იყო და მეეორეჯერ წასულიყო იქ, რო, მასჯან, სერვათი ბედასთ ბიარჯ; ბელახარა, კაცი კი წაიღდა და დაეკარდი მარტო.

ბელბაქი (N) belbaki პატარა, კოვზისხელა ნიჩაბი. სარეე გოქ, სავარცხელი არი, კისა არი, საპოვნი არი, კოვლა არი, ხოდთარაში არი, ბელბაქი არი, მაყაში არი, ასტამი არი.

ბელტ-ბელტი (A) belt-belti ბელტი. მსხვილი თოვლის ფანტელი. თოვლი რა ბელტ-ბელტი მოდის, სხილ-სხილი თოვლებია; თოვლი ბელტ-ბელტი მოდისო – იანი, სხილი, სხილი თოვლებია – ბელტაკსო.

ბელტვა (Msd) belṭva ბელტავსო belṭavso (V:Sg,3,Prs,O). იხ. ბელტი. თოვლის მსხვილ-მსხვილი ფანტელუბის ცვენა. თოვლი ბელტ-ბელტი მოდისო, იანი, სხილი, სხილი თოვლებია, ბელტაკსო.

ბელტი (N) belti იხ. ჩაბელტვა, ბელტვა. ბელტი. ბარით მოჭრილი მიწის მონაკვეთი, მსხვილი ფანტელი. ბელტი ჩადეო და მიწაც, წმინდა მიწაც ჩაყარაიანყე; ბელტავსო.

ბელქე (N) belke ქსოვილი, რომელსაც რძალს გაატანენ /აფუსი/.

ბემუნიანი (N:Pr) bemuniani შტო-გვარი მარტყოფში (ფერეიდუნშაპრში). ბემუნინანთ რაიათობა აყე, ბაღები აყე, მაღაზებიც აყე.

ბენა (N) bēna არაბული بن banā. საფუძველი.

ბენას იქს (V) benas iks ბენას იქს benays iks. ბენა ქნდა bēna knda (V:Sg,3,Aor), ბენას ვიქთ benays vikt. იხ. ბანას ქნა. იწყებს; იწყება. ბენას ქნა. /დაწყება; ბენას ვიქთ. /ვიწყებთ; ბენა ქნდა ხალღის მოკდობა და გაწყობა იმ ნახოშობით. /დაიწყო ხალხის სიკედილი და გაწყობა იმ ავადმყოფობით/.

ბერაპათი (Adv) berahati ბერაპათი berahati (Adv). სპარსული راحـه be rahati მშვიდად, უპრობლემოდ. ბერაპათ. /მშვიდად, უპრობლემოდ; შენ შანსმა თქოვო, რო ეხლა წახოჯდა, ქორწილს იქო და ბერაპათიო.

ბერბერი (A) berberi იხ. ბერი. მოხუცი, ხანდაზმული. ასაკოვანი. ერთ ბერბერი კაცი მოიდა. თქო: აბა, რა იყო, რა დიქიო!

ბერბიჭი (A) berbiči იხ. ბერყარი. ბერბიჭა.

ბერბოტი (N:Pr) berbolji კაცის მეტსახელი ფერეიდანში. *გადმოიღეს ბერკაცი და ემას იქმოდა, წერები ქონდა, წერები და რო ემეს იქმოდა, აჩუჩუნებდა, და დაარქეს ბერბოტი.*

ბერბუნია (N) berbunia კუტი კარი. ეზოში პატარა კარი, სახურავისკენ გასასვლელი. *ბერბუნია – ოზოს სახლი კუტი კარი.*

ბერბურები (N) berburebi ასაკოვანი კაცები. *ბერბურები ეწვია.*

ბერეშტა (N) berešta სპარსული *بهرشت* berešte. *ღამწვარი პური. ცალკე გადაღეთ და მევორე ნამაი იქნების, ბერეშტა, გამეშარი, იმას ცალკე გადაღეთ.*

ბერი (A) beri იხ. ბერბერი. მოხუცი. *ადიანყე, ყველაფერია, ჯეილი, ბერი, სუ; ზოგიერთი ბერი, მოხუცი არი, იმან შავდეს და წაიდეს სარწყავზე, ეხლა აღარ არი, მოთოსიკლეტებია და მანქანა.*

ბერიან გოლები (N:Top) berian golebi ადგილის სახელი თორელში.

ბერიანთ ბალი (N:Top) beriant baği ბერიანთ ბალები beriant bağebi (N), ბერიანთ ბაღა beriant bağča (N). *მამულის სახელი მარტყოფში (ფერეიდანშაქარში). ბერიანთ ბაღები და ბერიანი და ბერიანთაყენა მინმე აღარ არი; ერთ ბალია, ბაღა, ბალი, დაიძახიან ბერიანთ ბალი.*

ბერიანთ ხული (N:Top) beriant xuli ადგილის სახელი ჩულრუთში. *ამ ჩონ ქალაქში რო ჩულრუთს დაუძახით, იქაცა ერთ ხულია, დაუძახით ბერიანთ ხული; ბერია კეზირი იყო საქართველოში, ბერიანთ ხული გოქ ჩენ; ბერიანთ ხული ადგილის სახელია ჩუყრუთის ყელზე.*

ბერკაცი (N) berkaci ხანშიშესული კაცი.

ბერკაც დაიძახიან; მე იმაშილა ვიკითხე, მისაც რო მივადგიე ბერკაციესა, ჩემ პაპასა, ჩემ მამასა; წაიდა ბერკაცი, ემ ჩულრუთელ ბერკაცი იყო, თქო, რო ემათაო, ჩულრუთელთაო, – შაშიველსაე – სახელი დამარქესო!

ბერყორი (N) berqori იხ. ბერბიჭი. შინაბერა. *ეს ყორი სახლი დავარდნილა ბერყორია.*

ბესთელა (Interj) bestela არაბული *بستلا* be estelāh როგორც იტყვიან, ასე ვთქვათ. *ამმა ამ საათზე ქე ბესთელა უნღოდა თავი მაიშჭრასყე; მე მოფსერი ვიყავ, სუსაყე დიდი ვიყავ, მოფსერი ქელასში რო ვიკითხე, უნდა ვიკითხოლა, ექსნი, ბესთელა, სუსაყე ნამაი შავირდი ვიყავ, ნამაი მოპასული ვიყავ.*

ბელურა (N) beğura ბელურა.

ბეჩაგანა (A) beçagana სპარსული *بچه گانه* baçgâne. *საბავშვო, ბავშვური. სინაბანდი არი, ფიშბანდი ბეჩაგანა ბეჩაგანა არი, მაიტა ფეკსამოსია, ქულია, ქოთი აქ, ჯირიყა აქ.*

ბეწი (N) beçi წვერი. *კაცს ბეწები უყინწიადლებს; თხას ერთი აქ ბეწი, ბეწები აქ.*

ბეწი ადამიანს არ მაიკლავს, გულს ოორუეს (V:Phras) beçi adamians ar mayklavs guls oorcvs *ანღაზა, თუ საჭმელთან ბეწვი შეიჭამოს, ადამიანი არ მოკდება, მარტო აირევის.*

ბეწიან გოგრა (N:Pr) beçian gogra კაცის მეტსახელი. *ბეწიან გოგრა ხო იცი, რა არი? გოგრას ბეწი აქ? ბეწიან გოგრაო! – ერთ ცოტა გაფხეკილ თავი ექონდა.*

ბეჰდაშტი (N) behdašti სპარსული *به دشتی* behdāšti. *სანიტარია, პივიენა. ჰამ ასწავ-*

ლიანე, ბექდშთი როგო კქონდესე, რო-
გო თავის თავი შაინახონ, პირი დაბანონ,
დახატულად, ნამაი ტანისამოსიცი ჩაიციონ.

ბექთარი (A) behtara ბექთარი behtari.
სპარსული بختار behtar. იხ. ბექთარინ. უკე-
თესი, უმჯობესი. მე თქი, რო ჩემო ბატონო,
მე კი პარსული არ ვიცი კარქათ-მეთქი,
და ბექთარას-მეთქი, იმ ჩემ სამშობლოში
წაიღებ, ბექთარი უფრო კარგია, იმდენი
ვიცი-მეთქი; არზი ქქნა, ქე შენ ყულუფზე
ქე ამ ყადმიინი, ქე ჩონ მამები იყენენ, ბექ-
თარი იყო თა ეხლა, ამაშინ იფო ძეგობდა
თა ეხლა.

ბექთარინ (A) behtarin სპარსული بختار
behtarin. იხ. ბექთარ. საუკეთესო. ალ-
ქამდორეღლა ნამა აბოქავა გოქ, ბექთა-
რინ აბოქავა ჩონ გოქ; და ხაბარი წაიდა ამ
შაქრის ყეინთან, ქე რას დაიჯდომილხარ,
ერთ ნაქარი მოხულა ექა, ერთ დარო დას-
ტა მოყუნანი ექა, ბექთარინ ხალღები, რა
ჯურ ნამა ხალღები და ხოშთიფები და ნამა
ხალღები.

ბექარმათ (Interj) beFarmayt ბეფარმა
beparma, ბეფარმაიდ beparmaid. სპარ-
სული بيفارماید befarmāyid. ზრდილობიანი
შეთავაზების ან მოზღდიშების ფორმა. /ინე-
ბეთ, მოზღმანდით, მიირთვით, უკაცრავად/.
სადილი რო შაიქნა, რო პური მოოტანესე,
თქეს, ბექარმათო, პური ჭამეთო; დაშ-
ქესნელი იტყის ჭამეციით, ბექარმაით, ჭა-
მეციით, ჩონ ვიტყით, ბექარმაიდ, შაჭამეთ.

ბზე (N) bze ბზე. ქე ძაღლის წინ ბზე არი
და ცხენის წინ ემე ძოლია; ძაღლმამ თქო:
არა, მე ექამდი შიარობას ვეზიდებოდი, ჩემ
წინ ბზე დეეყარაყე, ეხლა ხო ძოლილა მაქ,
შაჭამო.

ბიაბანი (N) biabani სპარსული بيابان
biābān. მინდორი, უღაბნო. ყეინის ბიჭი და

თავის ყოლამმა წაიღიანე, იარინაყე, მა-
სალან, ბიაბანად, რო ერთი გული გეეხსნა-
ყე; ერთი ე ძაღლმა ბიაბანსაყე მოიდა.

ბიადაბი (A) biadabi სპარსული بيادابي
biadabi. იხ. ბიადაბა. უზრდელი. ემამაც
დაუსილმა მოიდა ეს თოლი ამათხარა და
ბიადაბი, ფიშავი ჩოოფსნა ფეესკამოსნი და
ემ ყორს დააღევიანა.

ბიადაბა (N) biadoba სპარსული بيادوبه
biadabi. იხ. ბიადაბი. უზრდელობა, უკულ-
ტურობა. ექა, პა, ბიადაბა ძაღლი ფორაყე-
ნია; ბიადაბა, შენ ქოლვა ძიმეთ, თუ ერთ
ეახტზე ხარაბობალა ქნიანყელამ, ზეზეერ
მაივდის, ის წყალიდა დაცალიანე, თუ არა
და დაპ სალაყ უნდოდ ის წყალი იყოს, აი-
დიან და ჩაიდიან შიგ.

ბიანა (N:Plant) biana ერთგვარი მცენარე,
ბიანა. ბიანაც ერთი ბალახია რო ამუა მალ-
ლა, ემ სიმალლე და თეთრი ყუავილეები აქ;
ელ ანს ბალახი რო გამწონდების, ერთ ად-
გილას ბიანა ბიანა ბეური გამწონდების,
საყეენობჩიგ არი, ახლო დაშქე შანასთან,
ვევის პირზეგ არი /თორელი/.

ბიანა (N) biana. სპარსული بيابيبeyeāne.
ბე, თანხის ნაწილი, რომელსაც წინასწარ იხ-
დიან. რაღაცა რომ გინდა იყილო, მაგრამ
პირველად ფულს მთლიანად არ გადიხდი,
ცოტას მისცემ, მერე დანარჩენს და ნივთს
წაიღებ.

ბიანიან ღელე (N:Top) bianian ğele ადგი-
ლის სახელი თორელში. ბიანიან ღელე – ელ
ანს ბალახი რო გამწონდების, ერთ ადგი-
ლას არი ბიანა ბეური გამწონდების, საყეე-
ბოჩიგ არი/თორელი/.

ბიბი (N) bibi სპარსული بيبي bibi. ქალბა-
ტონი. მე ექა უნდა არ დამამიწყდეს ჩემ დე-
დას ზამთაეები და ვუთხრა: დედაჯან, ბი-
ბი მაროს, მე თუ ჩემ თავიცი მოფკლა, შენ

მაზლუმობასი და შენ ნამაზობასი თაღაფას ახირი ომრამდი ვერ გამოიტან.

ბიბია (N) bibia ბებია ქალი. წაიდა, ჩონ შე-რიქი იყო ბეპარსაბა, უთხრადა და შაპოი-დალა, წაიღესლა და რა ვიცი, რა ჯურადა ბიბია მაიყუანეს და სამ დღე და ღამეს მუ-ცეღობა მალონა; ყმაწილი რო დაიბადების, ის ბიბია აიყუანს და ეხლა კი – სამველ უნა ემ ყმაწილ ყურჩი ჩოკითხო, რო, მა-სალან, ღუნიაზე მოსულხარჯა, იმისთინა ემას ჩოკითხვიანყე.

ბიბია (N) bibia მამიდა. პატონის მეუღლეუს ბიბიას ეძახოდე. ზოგიც მამიდას ბიბიას ეძახოდა.

ბიგონა (A) bigona სპარსული ისგ აბ bigonāh. უცოდეელი. ემ, ტრეღებო, ქენ იცოდეეთ, რო მე ბიგონა ვარო.

ბიდარი (A) bidari სპარსული ایدارbidār. მხნე, ფხიზელი. ეხლანდელ ხალხი ბი-დარ ხალხია და დარსი და ქარზადი აყელა, დარსებს კითხოზენლა, ემემა ჩემყე მეტტი იციან, ელ ემ ჩემ ნავამ ჩემყე მეტტი იცის, ბეხოდა; და ეს ურუჯყურბევი ეტყის, რო წადი შენა და ფაყათ ნახე რაჯურ ბიდარ ერთო ეს კაცი, ეს ქარიმხანიო; ბიდარი არი, რო ღიძაეს.

ბიდუდი (N) bidudi სპარსული اوداბ bidud. უკვამლო, ცოტა კვამლი რომ აქვს, ისეთი თოფი. ჩემ ბიძას თოფი ბიდუდი თოფი იყო.

ბიზი (N) bizi ბიზის bizis (N:Sg,Dat). თურქული biz. იხ. პიზი, ჯვალტუზი. სად-ვისი. ბიზი ტუფელეფს დაკერავს; ეხლა ბიზის დაიძახიან და ბიზიც ხო მახათი; ბიზი – რაღაცა რო ტყავის გახრეთისთვის იხმარებენ.

ბიზიანთი (N:Pr) bizianti შტო-გვარი მარ-ტყოფში (ფერეიდუნშაპრში). ბიზიანთ წინ

ბიძიანთ ეძახდნენ.

ბიზიომი (N) biziomi ბიზიოენი biziovní. თივითიკი. თხას ორნაირი აქ, ერთი ბაღანია და ერთი ბაღნების ძირზეგ არი, რბილია, ბიზიომს ეეძახით, ბიზიომი; ზოგიერთ თხის ბაღანში შუა და შუაჩი რბილი ბეწ-ვი ხშირად არი, ძვირფასია, ქედს მაგით შაპთელევენ. ბაღანი ზევრია, ნემსივით იხლიტება, თოკს დაქწვენ; ბიზიოენი – თხის ბაღანში ან აქლეუმის მატყელში რბი-ლი მატყელი რომ არი, ქედებს შაპთელევენ.

ბილსაზი (N) bilsazi სპარსული بيل بيلساز. ბარბის მყეთებელი ხელოსანი. მაღდ ამამაც წაიდა და ერთ უსტას უთხრა, რო ბილსაზი იყო.

ბიმარესტანი (N) bimarestani სპარსუ-ლი بيمارستانbimārestān. საავადმყოფო. და წასლა-მოსლა, მაშინი, დანშეა, მადრესა, ბიმარესტანი, რა საძლა რო ადამიანი ვაქ-ფიქრავსლა, ვოქლა ჩონ ექა; ორ-სამ დღეს ბიმარესტანში ვიყავ, ბიმარესტანყე ქე მუელ, ბეჭური მარიზი ვიყავ და არც რას არ ვიტყობდო.

ბინასდამდები (Ptcp) binasdamdebi გზის-მკვლევი, პიონერი. იმ თავკერმა შოუტყო, რო ემას ჰყავ ერთი ჭკიან ბინასდამდები; ბინასდამდები – ვიღაცა რომ ერთ საქმეს იქს, ოღონდ ის საქმე პირველჯერად ქნი-ლა.

ბიჯირდი (N:Top) bižirdi სპარსული بيجيرد/بيجزرbižird/bijgerd. სოფელი ფე-რიდანში. ბიჯირდის მამულეები ნამაი მა-მულეები.

ბირჯიანი (N:Pr) birjiani შტო-გვარი მარ-ტყოფში (ფერეიდუნშაპრში).

ბის (Num) bis სპარსული بيسbist. ოცი. მევერე ჰაი ომრი მოქცა შენ ბის სალია, ოცი

წელია ექ თაი ომრი მოქცა შენ, ეხლა ელ ეგელა ვარ, ფევიცა მყუნდა კა, კავუ; ერთ სახლ იყო, თაყრიბან, ბის მეთორი, სი მეთორი, თაესახლ დაეძახოდით, მანი დიდ სახლო.

ბიქარი (A) bikari სპარსული کباببیکار უსაქმური.

ბიჩამიჩუმი (Msd) bičamičumi სპარსული بیچامچومبی čomčomc. იხ. ჩამიჩუმნი, სიჩუმე, უხმაურობა. ბიჩამიჩუმია, ვმავმუ არა ღვაო; ჩონ ყონაღებმა მოიღეს, ბიჩამიჩუმ დასხდეს.

ბიჩამიჩუმე (Msd:Phras) bičamičumi ლაპარაკი ღამთავერებულა, გინდ წაიღე, გინდ არა! ამბობენ ვაჭრობის დროს.

ბიჩარა (A) bičara სპარსული بیچاره. საცოდავი, საწყალი. ბაღე მე გონაქქარი ვარო და ესე მქლავსო, გონაქქარი არა ვარო, ბად ბახტი ბიჩარა ვარდ ეგხეწუბიო და ემამ უნდა მე თავი მამჭრასო; ერთი ეგრენ არი, ერთი ემ რაყამზევა, ერთი არბაბია, ერთი ფაყირია, ერთი ბიჩარა არი, ერთ საქონელი აქ, ერთს არა აქ, ერთი პასარათია ერთ რამესი, მაგე არა?

ბიძას ბიჭი (N) bigas biči სპარსული بیچاره pesar 'amu. ბიძაშვილი ვაჟი. იქ ერთი ბიჭი ერთ ყორს მათწინებს და ემას პირზე კი არ მოუა, რო თავის მამასთან, ან თავის ღელასთან, ან თავის ძმასთან თქოს; თავის ბიძას ბიჭის ღელაკაცთან, თავის ხაღლთან იტყვის, რო მე ის ყორი მინდა და, თუ იქნების, მითხოო; ანსიც, ანს ყორის მამაც, თავის ბიძას ბიჭებს შაატყობინებს და დაპყონაღავს და ისენი მოვლენ ამ თავის სახლში და ესენიც ადგებიან და წაეღენ.

ბიძას ბიჭის ბიჭი (N) bigas bičis biči ბიძაშვილის შვილი. მინდოდა გავაცნო, უთხარ: ჩემ ბიძას ბიჭის ბიჭია.

ბიძია (N:Top) bigia გონა მარტყოში (ფერეიდნეშპარში).

ბიჭი (N) biči ბიჭი. ემას სამ-ოთხი ძმა ჰყოლია და ერთ ორ-სამიც ბიჭი; მე ღელას ბიჭი შადრთ [ღელიდას ბიჭი]. ჯაყჯაყსაყე მამიყვაენს სოფელი; ზამთრისღა ბიჭი დაეპორწილოთ, ყორი გავათხოვოთ; ღელეს იფო მეტი მისცა იმ თავჯერმა ბიჭსა და ბიჭი წავიდა სახლში.

ბიჭინაცვალი (N) bičinacvali გერი ვაჟი.

ბიჭის ფსელი არ მოხდესო (V:Phras) bičis pseli ar moxdeso ბიჭის შარღი არ მეგეწინწლოს bičis šardi ar megeçinçlos (V). წყველა. არ წახიდო, რო ბიჭის ფსელი კალთარი არ მოხდეს, მანი ბიჭი არა მნახო. კა, ბიჭი არა მნახოვო, თავის ბიჭს უთხრა. – არა მნახა, დაწყველა და არა მნახა.

ბიხოდ (Adv) bixod სპარსული بیکه بیکه bixod. ტყუილად. თქო, რო მეღიქამ ყალბათი ქნა, ამამ ბიხოდ გითხრა!; თქო: რე მსი ბიხოდ უმბოფს.

ბიჰალი (A) bihali სპარსული بیحالی bihāl. სუსტი, მოთენთილი. თითან ცოში რო ბიჰალია, კუტი ჩავა.

ბლენა (V) blena დაბლენდა dablenda (V:Sg,3,Aor). ბნელა. იგრე ბლენა, რო თოლი თოლს არა ეჭრისო. როგორია? მომხე: ეს თოლი ემ თოლითან რამეს არა ეხედავს. თოლი თოლს არა ეჭრის; თარიშავ, თორე შავ ღამერი, რო სიშუქი არა აქ და ბლენა, ბლენა, ბლენა!

ბლიავი (Msd) bliavi ფრიადი. ქარი აბლიავებს, ქარი ხო მოღის, არუჩუნებს.

ბლუნტი (A) blunči ბლუნდი blundi ბლუნდათ blundat (Adv). იგივეა რაც ბეუტი. ცულაღმხეღელი, ბრუციანი, დაბინდული,

მხედველობაზეც ითქმის და მზეზეც. ჩენ ვიტყვით ბლუნტი. სწორად ვერ უჭვრეტამს; ბლუნდათ უჭვრეტამს; ბლუნტია – არნათელა; სურათი რო არ ირკვევა ბლუნტია.

ბლუყბლუყი (Msd:Voicc) bluqbluqi ბლუყბლუყეფს bluqbluqeps (V:Sg,3,Prs). ბლუყბლუყი. წყლის ხმა. წყალი ბლუყბლუყით აივსების, ერთია რო სარქერია, სარქერზე მიიყუდფე და და აივსების სარქერზე; შეილება ემ სარქერჩი გერდელა ჩამოვიდეს, ის რო ბლუყბლუყით ჩადის, შეილება იქაც ჩადეს გერდელა.

ბოზი (N:Animal) bozi სპარსული ჯ boz. იხ. შე თოლბოზია. თხა. მაჰან ბოზიამ რო არ მოიდა მინდორსაყენ, ბალახი მეეძოვა და ჩამოიდა.

ბოინი (N:Top) boini ბოინის boinis (N:Sg,Gen). ქართული სოფელი ფერეიდანში. ემაშინ რომ ჩემ მოუგანამ სკოლა დაამთავრა, ბოინის შუღლი იყო.

ბოლა (A) bola იხ. თათაღარი. ნაბოლარა. ბოლას ვიტყვით.

ბოლბოღანალი (N) bolbogānali იგივეა რაც ბოღანალი. იხ. ბოლოლა. მტვერი, მტვრის კორიანტელი. მტერჩი როცა სხოდასხო ნაწილები ურეგია, ბოლბოღანალი ჰქიან /მარტყოფი (ფერეიღუნშაპრი)/.

ბოლო-ბოლო (A) bolo-bolo იხ. ბოლონა. უკანასკნელი. ბოლო-ბოლო შარშან ვარდაიცვალა; გომოოფხაჭყო, რო ის ქუა ამიღელაო და რაც რო არილაო, ბოლო-ბოლო წყალიც გამოიღესო.

ბოლოკონი (N:Pr) bolokoni შტო-გვარი მარტყოფში (ფერეიღუნშაპრში). ესენი შვენ იყენს, აო, სახელი შვეი, როგორ შვე ბოლოკო და იმაზე ერქოყე ბოლოკონი.

ბოლოლა (N) bolola იხ. ბოლბოღანალი, ბოღანალი. ქარბორბალა. ბოლოლა ადგა /მარტყოფი (ფერეიღუნშაპრი)/.

ბოლონა (A) bolona ბულუნა buluna. იხ. ბოლო-ბოლო. ბოლო, უკანასკნელი. ეს რო უნდა მოიძებნოს, კივის რო ბოლონა, ბოლონა, გათენდაო? მინ იტყის? – ემათ უნდა მონახონ. – არაეო! ბულუნა, ბულუნა, გათენდაო? ის კივის; არაო! როსაც თქო: გათენდაო, ესები წაელენ, მაიძებნიან, რო მონახონ.

ბოლღარი (N) bolğari იგივეა რაც თუნგი. თუნგი. ბოლღარი – თუნგი! ჩონ ენაზე ბოლღარია; ცომსა იხელდი თაღართა, წყალს გისხემდი ბოლღართა, ბოლღარი – თუნგი/თორელი/!

ბორაკი (A) boraki უმაღური.

ბორბოშელა (N:Plant) borbošela ერთგვარი ბალახი /თორელი/.

ბორზიკალაობა (Msd) borziķalaoba ვბორზიკალავნობ vborziķalavnob (V:Sg,1,Prs), მიბორზიკალავნია miborziķalavnia (V:Sg,3,Result I). ბლლამუნი. ებორზიკალავნობ; ბეერჯერ მიბორზიკალავნია ბიჭებთან.

ბოროლა (N) borola ქარბორბალა /დაშქესანა/.

ბორჯი (N) borji ბურჯი. ბურჯი burji (N). ბურჯი. ღიდ მაღალ ადგილებსა ბორჯს დაიძახიან, ქართულად ბურჯს იტყვიან; ერთ ბურჯიე არი, რო ყალაზე გააკეთებენ და ათორიალებენ, ყაულაობას იქმენ; ერთ ბურჯია, ბაღებში აკეთებენ, ოთხ კაცი დაწეების, ჯონით, ფთოლით, კაპითა და ბალახით გააკეთებენ, რო დაქოლგონ, მზემ არ დაწოს ხალჯი; აო, ექ თათაშუღის გორას დაეძახით, ამას აფყანი ხ გორას დაე-

ძახით, ქართითოზე ათი ბურჯი გაკეთებულა.

ბოსტანი (N) boṣṭani იგივეა რაც საზამთრო. იხ. ზამთრული. საზამთრო. არა, ზამთრეული ბოსტანია, ზამთრეული პენდუნა არი, საზამთრაა; ყურზენის წყალი ექ შევე იყოს, არ მიტკემთ, ნესს არ მიტკემთ, ბოსტანს არ მიტკემთ, ემ შევე და მოწითებული რამეს არ მიტკემთ. ვიტყით: ემას შავველა აქ, გოოში თა მალე გაკეთლეს /თორელი/.

ბოტი (N:Animal) boṭi იხ. თას ბოტი. ბოტი. დაუკრავი მამალი თსა. და ერდგან არი რო ნადირი გაიდის იქითა, თსა, ბოტი, ესე ბი გაიღინ და ეს მეთოფები ჩაგდებინან; ემ თეფნი ძაყათ ბოტი ჰყავ და თსა ჰყავ და ყოჩი ჰყავ და ცხორი.

ბოტყერა (N:Plant) boṭqera ხილის სახეობა. ჭერამსათ არი; მინდორში რო გაიდიტყე, ბოტყერა შაჭჭამიტყე.

ბოტყერა (A:Phras) boṭqera მსუქანი ბავშვის მეტსახელი.

ბოღანალი (N) boḡanali იგივეა რაც ბოღ-ბოღანალი. იხ. ბოღოლა. კორიანტელი. ქარი რო მიწას დაანავეებს, რო სუბუქია, აქუჩავს და აბზიდავს ზემოთ, უბერავს ზემოთ /დაშქესანა/.

ბოღო (N) boḡo თურქული boḡa. ბულა. ბოღო იმითვის არი, ფური მაყვანოს.

ბოღო-ბოღო (Interj:Voice) boḡo-boḡo ხარების წაქიდების შეძახილი. წაქეიდითყე კარები და ეგეთები მოყვანიითყე, ვეუბნებოდი: ბოღო-ბოღოო, ბოღო-ბოღოო, რო ვეუბნებოდი: ბოღო-ბოღოო, წაქეიდიანჟე.

ბოღოზა (A) boḡoza დიდლოყება. ბოღოზა –

დიდი ღოყეები ქონდეს /თორელი/.

ბოღორა (A) boḡora იხ. ბულური. მუცლიანი, სქელი /კატაზეიტყვინა/. ბოღორა ციცა – მუცლიანი, სქელი ციცა.

ბოღრანჩალათი (Msđ) boḡrančalati სპარსული علی غرانج boqranj ellat. იხ. დარამ-ბარამში. არეულ-დარეულობა.

ბოყბოყა (A) boqboqā იხ. მემანთების, ყროყინი, ბუყბუყობს. ქაქანა, ლაქლაქა. ბერის უაზოდ მოლაპარაკე.

ბოშე (A) bošc ბოშეს bošcs (A:Dat,Sg). სუსტი. საბელი რო წნიკი შაქანა, იმას ბოშეს ვიტყით; საბელი გაწყდა, ბოშერი, ბოშე ყოფილა.

ბოხარი (N) boxari სპარსული بکس boxār. ორთქლი, ოხშივარი. ანს ორთქლი ბოხარსაც იტყიანყე, ბოხარი ადგაო; ქობი რო დულს, ბოხარი ადღის.

ბოჰნა (N) bohna სპარსული შაირი. ბოჰნა მოყუგონა.

ბეიტი (A) bēziṭi ბეიტებს bēziṭebs (V:Sg,3,Prs), ოობუტინია oobzuṭinia (V:Sg,Result I), ბეიტღების bēziṭdebis (V:Sg,3,Prs). ბეუტი, მბეუტავი. ჩირადი ხო ანთებულთა და ეგრე რო მოზიდავ და ჩოოზიდავ, სამავარი ეხლა დულს, რო ჩოოზიდავ, ბეიტებს, ამოზიდავ – აჭყირტიალყეს. ოობუტინიაო. სინათლე ადის-ჩადის, ადის-ჩადის, ეს არის ბეიტი; სამავარი ეხლა რო დულს, რო ჩოოზიდავ, ბეიტღების და რო ოზოზიდავ, აჭყინიალებს, აადულეებს.

ბეუტი (A) bēzuṭi ჟუტი žuṭi. იგივეა რაც ბლუნტი. იხ. მბეუტვა. ცუდადმხედველი. ბეუტიაო, ბეუტია თოლეზიო. ბეუტიათოლეზიანი; ჟუტი ეგეთია, მომხე, თოლეზი

ჩახუჭილი აქ: უუტი არიო.

ბრეწველი (N:Plant) brečvli ბრეწველი. ეხლა ვთქოთ თავის ცოლსაყე, რო ფული და ბრეწველი მოუგზავნა; თურმე ეს ორი ბრეწველი კი არ არი, არი თითოიჩი ათასი დანი იაყუთი.

ბუბერა (N:Insect) bubera იგივეა რაც ბებერი. ობობა. ბუბერას ჭერზე გობამ.

ბუბუანი (N:Pr) bubuani ქართველთა ერთი საგვარეულო თორელში. ბუბუანი, ბურიანი, წიეწივანი, ხისხისანი, ტურიანნი, გერიანი, კადმანი, დოდონი, გალუანი, კაკრინა, წარუკა, – ესეები'ყო, რო მე დამიწერავ.

ბუბუნოვს (V) bubunops დაბლ ხმაზე, ჩუმაღ ლაპარაკობს. ხმები როგორ არის ადამიანის? ჭყავის ბუბუნობს, კივის, დაიჭყავლებს, ჩაყურულია, უკრავს. ჩაყურული აცრავს არ ამბობს/თორელი/.

ბუდე (N) bude იგივეა რაც ბურდა. ბუდე. ბუდე იქონდა ზეზე; ხო, რო გაფრინდა, წაიდა, ზეზე ბუდე გააკეთა, ბარტყები გაძაასბა.

ბუდეიანი (A) budciani ქუდეიანი. კა, ჩონაც ვიტყვიტყე, ბუდეიანიო, ვიტყვითყე ემ ემაწილს ბუდე იქონდაო; ფოლანაქეს ემაწილი ეპყვანდა და ბუდეიანი იყო.

ბუერა (N) buera ბუერა.

ბუვი (N:Bird) buvi იხ. ზარნაჩო. ბუ. ზარნაჩო – ბუვი.

ბუზუკი (N:Insect) buzuḱi ბუზუკები buzuḱebi (N:Pl,Nom). ბუზი. ქე ჩონ დედაკაკებმა ვიცით – ცურავია ზარტაქია, სუსქიაქორკული არი, აყრადია, კარაზანა არი, ბუზუკია, მორიალა არი, ესები ბიამანას ცურავები ქე ჩონ დედაკაკებმა ვიცით; ეს ზორცი მოზატყე, ბუზუკი ეხვოვის.

ბუთა (N) buta სპარსული ბუბუტე. ბუტი, ბუტი, ბარდი. ეხლა იმამლა რო ძრიალ იმ ემაწილს უნდოდისყე, რო კირიაში ერთხელ ბუთა ანთიანყე; ბუთა – რო გამწონდების კიტრი მიწაზე, სანამ ზეით ავა; ემ ბუთას, ის რო გამწონებულია, თელათ მაიკილებ და გადმაბრუნებ, რო ამა, აქ თუ აღარ აქ.

ბულამა (N) bulama იხ. სასხნეს დაღერა. ხსენი. ახლადმოგებული საქონლის პირველი სქელი რძე. აღუზი რო მოწოვისსყე, ბულამა, ბულამა რო მოწოვისსყე, ბატკანი დაფკლითყე პირველა, ამოილითყე ეს თავის მათა; ბულამას ჭამასათი ზეს დასხმენ და შაკჰამენ; ხბოს არ გოოშებენყე, ბულამა ბეკერი მოწოვოს.

ბულამას წოვა (Msd:Phras) bulamas čova იგივეა რაც ბულამას ჭამა. აღზნება, ენერგიის მომატება.

ბულამას ჭამა (Msd:Phras) bulamas čama იგივეა რაც ბულამას წოვა. აღზნება, ენერგიის მოზღვაება.

ბულბულის გოლები (N:Hydr) bulbulis golicbi წყაროს სახელია ფერეიდუნშარში. ბულბულის გოლები იქ არი, ავე! ის ხევი რო ჩანს ზედაე? ის ბულბულის გოლები!

ბულბულის წყარო (N:Hydr) bulbulis čqaro წყაროს სახელია ფერეიდუნშარში (მარტყოფში). თითოს თავისი სახელი აქ: ბულბულის წყარო.

ბულუნობა (N:Play) bulunoba ბულუნობა bululoba. იგივეა რაც თოლდასუჭველი. ერთგვარი თამაში, დასუჭობანა. ბულუნობა თამაშობა არი; ბულუნობა – თეაღდასუჭველი; ბულუნობას ზოგ სოფელჩი დაიძახიან და ზოგ სოფელჩიგაც ბულუნობა არი.

ბულჰარი (N:Plant) bulhari ბულჰანი

bulhani. სპარსული بلبانbillhar. სათიბის ბალანი. *ქამა, ჩემირი, ჩემირიდაქამა, ბულპარი – რაგლენ რანგი ბალახიკლარო ამოღის, ითიბავ.*

ბუმაზალანი (N:Pr) bumazalani შტო-გვარი ფერეიდანში. *ბუმაზალანი, თეთრფეხანი, ალიბობოლი, კუხრიანი, იქ, საქართველოში კოხრიანები არიან.*

ბუნგი (N) bungi ბანჯი banki. ბუნგსა bungsa (N:Sg, Dat). სპარსული بانجbang. იხ. ბუნგის დრო, ბუნგის დაკივლება, ბუნგის დაკივლება. ხმა, ძახილი. *დღეში სამჯერ ბუნგს დაკივლებენ.*

ბუნგის დაკივლება (Msd) bungis dakivleba იხ. ხმის გაგდება, ბუნგის დრო, ბუნგი. მიცვალებულის შეცხადება. როცა ოჯახში ვინმე გარდაიცვლებოდა, ავიღოდნენ გომზე და დაკივლებდნენ – ვმას გააგებდნენ.

ბუნგის დრო bungis dro სპარსული بانج bang. იხ. ბუნგის დაკივლება, ბუნგი. ლოცვის დრო. *მოვლამ რო აღამ!* – გაიკივლოს, ბუნგიც ბანჯია.

ბურავი (N) buravi იხ. დაბურავა. საბურავი, მოსაბური.

ბურბური (Msd) burburi ბურბურებს burburcbs (V:Sg,3,Prs), ბურბურობს burbuobs (V:Sg:3,Prs), მებურბურების mcburburebis (V:Sg:3,Prs). იხ. მემანთების, ყროყინი. ბუზუნე, ჯიჯღინი, ჩივილი. *ეს კაცი დათემ ბურბურობს.*

ბურბუშელა (N) burbušcla იგივეა რაც ბუქი. ქარისგან დატრიალებული კორიანტელი. *ქარი რო მუაყე, ბეერი მიწას და რაღაცას ეგრე გრულათ აიტანსეყ, წაყა მადლათ; ბურბუშელა – ქარი რო გრუალით იხივს; ბურბუშელა – კუდიან ქარი.*

ბურდა (N) burda იგივეა რაც ბუდე. ბუ-

დე. ჩიტის, ყორანის ბურდა; გელის ბუდეც ბუდეა. *ბურდა თურქულია, დაშქესანაში თურქები ახლონია, ეს ბურდა თურქულია.*

ბურდღლია (N:Pr) burdğlia იხ. დაბურდღნილი. კაცის მეტსახელი მარტყფოში (ფერეიდუნშაპარში). *ბურდღლია ქეიანო, აბურდღნილი, თმები აბურდღნილი.*

ბურზიკალაობა (Msd) burzikalaoba ბურზიკალაობდეს burzikalaobdes (V:Sg,3,ConjPrs). ძიძგილაობა. *ემ ყუყავმა წაიდა რო დედუფალა დაიჭიროს, დედუფალა წაიწვედნიყო ე ნისკარტზე და მეეჭირნა თავისთეინ. ფირტიალუბდა და არსით არ უშებდაო. ბურზიკალაობდესო ეს ორნიო.*

ბურთი (N) burti ბურთი murti. იხ. გუვი. ძოვისას შეყოლილი ცხერის მატყლისგან ხბოს კუჭში წარმოქმნილი გორგალი, რომელიც კლავდა საქონელს. *ბურთი – ძროხა და ხბო რო ერთად იყენეს, ემ ფურმა ის ხო ძროხასაყე ისეე ის ეგრე ძოვდა, იმის მატყლუფს ძოვდა და ჩოფიიდადა მუტელჩი, დავორგლუბოდა, თაყს მოჭჭრიდით, გამოილითყე იმას. ჩონ ბურთი – ემამ ბურთი ქნა და მოყდა; მერე რო შაიჭამს, ჩაყა ბურთს გულ-მუტელჩიგა, თაი მუტელჩი-გადაქურდების, ქუა და ტინი შაიჭების, ეს პირიტყსაყ მაიკლამს; ფური რო ფურს მატყლს გამოყსეყ, მუტელში ბურთითით რგკალი დავროფდისყე, იმას ბურთს ეძასოვდეს.*

ბური (A) buri სპარსული. უღალი, ქერა.

ბურიანი (N:Pr) buriani შტო-გვარის სახელწოდება თორელში. მაყუანი, ბურიანი, ბურიანი, წიფეწიანი, ხისხისანი, ტურიანანი, გურიანი, კადმანი, დოდონი, გალუანი, კაკრონა, წარუკა, – ესეებიყო, რო მე დამიწერაყ.

ბურმა (N) burma იხ. დაბურმაყება. მატყლის ღიდი ფთილა. რომელსაყ რთვის დროს მარცხენა მკლავზე იხვევენ. *ბურმების შემზადება.*

ბურმა (A) Burma ხვეული, ხუჭუჭი. კავები გაქ ბურმა, ბურმა; თმები გაქონდა ბურმა-ბურმა; შენ რო იჯე რუვის პირზე ბურმა-ბურმა თიმებითა, სურმა-სურმა თვალებითა.

ბურჯალია (N:Top) burǰalia ადგილის სახელი სიბაქში. ენაყრი მინდორი გოქ და ბურჯალია იყო, მოუენითყე, წელსლა წყალი რო არ იყო, რო უნდოდი სყე, ჩონ კაცმა წაიდეს, უნდოდი სყე, რო ერთ რა ჭურჭელი აუქსოს და წყალი წაილოს.

ბურჯიანი (N:Pr) burǰiani შტო-გვარი მარტყოში (ფერეიდუნშაპრში). ბურჯიანი მაზრანი ჩონ გერდზე მამული აყე.

ბუტულა (N:Insect) buṭula დიდი ბუზი. ბუტულა იკებნავს და სისხლს ამოწოვს.

ბუქა (Msd) buka ბუქვა, ბუქის დაყენება.

ბუქა (N) buka სპარსული ბუ bok. ერთგვარი ქილა. ყველს დანაით დაჭჭრი და ჩაეაწყოვ ერთ ბუქანი; ყათულები ბუქანი არი.

ბუქი (N) buki ბუქმა bukma (N:Sg, Erg). იგივეა რაც ბურბუმელა. ჩონ ზო თბილისიდან წაველით ესტამბულში, ორ დღეს იქ ვიყნეთ, მაგრამ მემრე თოვლი ბუქი და სიცივე იყო, ლელუა იყო; კაცმა უთხრა: თოვლი და ბუქმა არ გამიშო.

ბულური (A) buǰuri იხ. ბოლორა. სქელი, ბოზი, მსხვილი. ბულურ ადამიანიო. ნახე რამსისქე. ჩონ ვიტყით: ბულურს ეგავო; ბულურ ხე, ბულურ ხე, სქელი; ხე რო სქელია, იტყიან: ბულურ ხე. ადამიანის ხმასაც ვიტყიან: ბულურ ხმა აქ.

ბუყალანი (N) buǰalani სპარსული بوقالان buqalamun. ინდაური. ინდაური? ბუყალან, ბუყალან.

ბუყბუყობს (V) buǰbuǰobs იხ. ბოყბოყა.

ლულუნებს. რა'რი. ეს სუს ბუყბუყობს!

ბუყი (N) buǰi არაბული بوق buq. იხ. ბუყის დაკვრა. ტრანსპორტის საყვირი. ხელი ლეეჭირა ბუყზე და აღარ იღებდა.

ბუყის დაკვრა (Msd) buǰis daǰvra ბუყი ლოუკარ buǰi doukar (V:Sg, 2, Imp). იხ. ბუყი. დასიგნალება. ბუყი ლოუკარ!

ბუჩქიანი (N:Top) buǰkiani გორა მარტყოში (ფერეიდუნშაპრში).

ბუხია (N) buxia ნიშა, კედელში ჩაშენებული სათავსო. ბუხია იქონდა ვეგითი, სახლსაყე ვეით კარი იქონდა, რაცა იქონდა ყურზენი, რაღაც რაღაცები, იქა იქონდა. და ეს დაკლუტილი იქონდა; ბუხია – კარადა რომ კედელშია.

ბღავანა (N:Animal) bǰavana იხ. ცხორი. ცხვარი. ემ ცხორსაცა ბღავანსა დაუძახით, ზოგჯერ ცხორებზე ვიტყიტიყე, რო ემასაო ათი ბღავანა იყაო; გამიწყდაო და რაგდენი იყაო? – და ერთი ხუთი ბღავანა მყაო.

ბღავილი (Msd:Voice) bǰavili ბღავის bǰavis (V:Sg, 3, Prs). ბღავილი. ძროხის ხმიანობა. ციცა ზო კნავის, ციკანი ზო კიკინებს, ცხორი ბღავის, ეტყობა, რო ეს ცხორის ბღავილია, ეტყობა, რო ეს ციცას ხმაურია; ბღავის, ბღავის, მა რას იქს, ისი ყირის?

ბღატება (Msd) bǰaṭeba ბლოტება bǰoṭeba. ებლატების cbǰaṭbis (V:Sg, 3, Prs). ბობლეა, კლდეებზე ბღატება. ქართველებმა რო ქრისტიანობა დაკარგეს, შეებლოტეს თას კალთაზე; ბღატება – კედელზე აცოცლების, მაგრამ ძნელად.

ბეზრიალა (N) bezrīala იგივეა რაც წირწიალა, პიზრიალა, ზირზიალა. ბზრიალა /დაშქესანა/.

3

გაალალებ (Msd) gaalalcha გაალალებს
 gaalalchs (V:Sg,3,Fut). შენლობა, მიტე-
 ვება, კურთხევა. *მოლა ქალსაც გაალალებს
 /ქალისა და კაცის ურთიერთობას აკურ-
 თხებს/.*

გაბეგრება (Msd) gabcgrcba დაბეგრდით-
 ყე davbcgrditq (V:Pl,1,Aor). გაცდენა.
*ელ ვერე ყალიჩა ექსოვითყე, რა ვიცი, ერთ
 ვეგთ გაფეები და არ დაბეგრდითყე, ხო?*

გაბერწება (Msd) gaberq̄cba გაბერწილი
 gaberq̄cili (Ptcp). გაბერწება.

გაბიბინება (Msd) gabibinaveba გაუბიბი-
 ნავეყე gavabibinaveq̄c (V:Sg,1,Aor,Yc).
 გაწმენდა, გასუფთავება. *ივრე გაუბიბინავეყე! /
 მარტყოფი (ფერეიდნულშაჰრი)/*

გაბიჯება (Msd) gabiq̄cba ფეხის გადაღმა.

გაბლენებულ (Ptcp):Phras) gablcnebulo
 წყველა.

გაბლინება (Msd) gablinq̄cba გაბლინე-
 ბული gablinq̄cbuli (Ptcp). გამოშტერება,
 გამოსულულება.

გაბმა (N) gabma გაბმა, გაგრძელება. *გაბმა –
 წიმა რო ვეების.*

გაბოტება (Msd) gaboq̄cba იხ. გაგუება.
 გაბოტება, გაბრაზება. *გაბოტება იმას ნიშ-
 ნავს, ჩონ იქ ვიტყვითყე გაიბოტაო. გაგუე-
 ბა გაბოტება არ არი, ის ხო გაგუელა და მე,
 მე არა ეჭვამ, მე გაეგუელი და გაბოტება სხო
 რამე ერი და გაგუება სხო რამე ერი. არა?
 ერთ ცოტა ჩხუბით არი ის გაგუება, ერთ
 ცოტა ჩხუბით. ჰა, გაგუედების გაბოტებაჲ
 არი და ერთ ცოტა ჩხუბით არი და ერთ ცო-*

ტა აი, მაგრად ამბოფს და როგორც გერხუ-
 ბებოდეს.

გაბოტება (Msd:Phras) gaboq̄cba გაიბოტა
 gaiboq̄a (V:Sg,3,Aor), გაბოტილი gaboq̄ili
 (Ptcp). გაჯიუტება. *ეს საქმე გააკეთეო –
 ანს საიდა მეტყვის, ანს თავის ჰაჰა. ეს საქ-
 მე გააკეთეო და მეორელა მეტყვით, ბიჭო,
 ნუ გაიბოტეფ ვერეო.*

გაბოტება (Msd) gaboq̄cba გაბოტილი
 gaboq̄ili (Ptcp), გაიბოტებს gaiboq̄chs
 (V:Sg,3,Fut). გალაჯვა.

გაბუგვა (Msd) gabugva გაიბუგვენყე
 gaybugvenq̄c (V:Pl,3,Fut). გაწყვეტა, და-
 ხოცვა. *მოიზარარებ – ესეები შომოოდგე-
 ბიან იმეფეს, იმ მამლუფეს, გაიწყეტენყე,
 გაიბუგვენყე და გამაიპყრიანყე ვარეთ, იმ
 მამლუფეს.*

გაგინება (Msd) gagincba გააგინავს
 gaaginavs (V:Sg,3,Fut,Yc). გაღანძვლა,
 შეგინება. *გაგინებაჲ იყვისყე; ლელა შეილს
 რო გააგინავს, ეტყის: აჭყრინდეო, ჯივანი
 მაჲცდე, ხეირი არა ინახო.*

გაგიონრდა (V:Phras) gagioxrda წყველა.

გაგონჯება (Msd) gagonq̄cba იგივეა რაც
 გამაჰრა. წახლდმა. *ჩვენთან სავდარი სიტყვა
 არის, გაგონჯდა – წახლდა /თორელი/.*

გაგორვებ-გამოგორვება (Msd) gagorveb-
 gamogorveba გააგორვებენ-გამაგორ-
 ვებენ gaagorveben-gamaagorvcben
 (V:Pl,3,Fut). გაგორვებ-გამოგორვება. *მატ-
 ყლს ნამა გაირეჲსაჲ და ერთ ემე აჲ დასკა
 გაიშლიან, გუნი, რა ვიცი, თავისი ერთ ემე
 აჲ, დასკა გაიშლიან, ემას ნამა დაიპენტენ,
 ნამა დაიპენტენ, ნამა, დასტულადა და
 გაიშლიან და ემასა ერთ ორ-საველ ვერე
 გააგორვებენ-გამაგორვებენ.*

გაგორეება (Msd) gagorvcbა გააგორეებენ
gaagorvcbcn (V:Pl,3,Fut), ვაგორეებდით
vagorvcbdio (V:Sg,1,Impf). გაგორება.
ემასლა ველთა და ფევითა და ემებითა
ეგრე ვაგორეებენ, გააგორეებენ და ნამა
შაიქთელენ; ვაგორეებდით, ემ კალოზე
საგორეელას ვაგორეებდით და ანს დამი-
გორდა, გაღვიდა სხოვან და წაიდა ქოითებ-
ჩიგაო.

გაგუეება (Msd) gaguvcბა გაგუება
gagucბა. გაგუელა gaguvda (V:Sg,3,Aor),
ნაგუარი naguari (Ptcp). იხ. გაბოტება. გა-
ბუტება, გაბრაზება, გაგულისება. მაგონდ-
ბის, რო ყანები ჩამუშარ იყო და ჩონი ნო-
ქარი, დანი ის ჩონ მუშა გაგუებულყო, არ
მოსულყო, მოგეშელოს, ჩონ საქმეზე არ
მოსულყო, გაგუებულყო; გაგუეება ის
არი, რო თქოს, მე ეს აღარ მინდაო და იმ
წილოს გაყოფარი გაგუეება.

გაგჩეება (Msd) gagčrcბა ეგჩე-
რება egčrcბა (V:Sg,3), შეგჩეების
megčrcbis (V:Sg,1). გაჩეება. ემ ბიჭს
არ ექჩრებოდა დაიკბოს, ბასქი დასატუ-
ლი იყო და ემ ყორმა დაიკბო ყამმა და ჩა-
მაგლო და დასუსტა; ერთ იგეთ ყორმაო,
მასჯან, დამცხოვო, რო თუ შენ ყოფილი-
ყავო, ასჯან არ გაიქჩრებოდეო, რო რამე
უთხრაო, იმის ბალაზეო დამცხოო და დამა-
სუსტაო; არ გაიქჩრა, რო ეს ბიჭი გამა-
ლიძოსა, არ გაიქჩრა.

გადაბმა (Msd) gadabma სამკალში რამდ-
ნიმე კაცის წასვლა, ერთმანეთში მოშველება.
გადაბმას ვეძახით: ერთ დღეს ჩონს, ერთ
დღეს ქენს, ერთ რეს იმას, ოთხი-ხუთი კა-
ცი ერთმანეთთან, გადაბმას ვეძახით, სამ-
კალჩი გადაბმულათა ვთიბავთ.

გადაბმულად თიბვა (Adv) gadabmulad
tibva რამდენიმე კაცის მიერ ერთად თიბვა,
ნადი თიბვის დროს. გადაბმულად თიბვა არი,

რო შენ მეშველები, ხუთნივენი. ხვალა
ამასა.

გადაგადმო (Adv) gadagadmo იხ. გარდი-
გარდმო, გარდიგარდმო, სიგანეზე.

გადად-გადმოსულა (Msd) gadad-
gadmosula იხ. ლამლაში. ბაჯბაჯი.

გადაკვრა (Msd) gadaqvra გადართვა (ტე-
ლევიზორის არხების).

გადარახრახება (Msd:Voice) gadaraxra-
xeba დიდი ხმით გაკინება.

გადასხოფრება (Msd:Phras) gadasxoprcბა
გადასხოფრა gadaasxopra (V:Sg,3,Aor).
იგივეა რაც გაფორცხუა. ლაპარაკის სხვა
თემაზე გადატანა. გადასხოფრა და გაფორ-
ცხა – ორივენიც არი.

გადასჯანა (Msd) gadasQna გადასჯანის
gadasQnis (V:Sg,3,Fut). იხ. გასხნა, გა-
ლახნა. ეერ გადასჯანეს, წყრან არ გოოშის,
რო ჩონ გადასჯანათ, ჩემთი უნდა გადას-
ჯანა, არ გაიხითოთ, იგრე დამპალიყოლა;
ჰა, ერთი ექონდა, ისიც იგრე დახეულთ-
ყო, დამპალიყო, არ შეენახევენ, იგრე იყო,
მანდ ვინ გადასჯანასლა, გაიხითოს.

გადაფრენა (Msd) gadaprena გადაფრენა.

გადაფრენა (Msd) gadaprena გადაფრენ-
დენ gadaprenden (V:Pl,3,Aor). გადახტო-
მა. როდესაძღა ძან გაშორდის, მინაც რო
კარგათ ფრინველსეე, ერთი-ორიკ გადაფ-
რინდის; ძელებურათა რო ბატარეები ვიყა-
ვით, რო გადაფრინდენ; ბალიონი მოდის,
ბალიონი მოდისო!

გადაღრა (Msd) gadağra გადაღრა.

გადაცერვა (Msd) gadaccrva გადაცე-
რილა gadaycerila (V:Sg,3,Result I),
იცერება icrcბა (V:Sg,3,Prs), გალიცე-

რა gadicera (V:Sg,3,Aor), გადიცეროს
gadicros (V:Sg,3,Conj II), იცერების
iccrebis (V:Sg,3,Prs). გადაცერვა, გადაწ-
ვერვა. თოთხმეტის არიო თორე. ხო ის
მიღისლა, ეტყობის, რო გადაიცერილა,
თხუთმეტია გადაიცერილა; მზემ გადი-
ცერა; მზე გადაიცერების; სამე მთორე
მიღისლა, რო გადიცეროს, თხუთმეტია
რო გადასულა.

გადასატულავება (Msd) gadaxatlavcba
გადასატულავეს gadaxatlavdes
(V:Sg,3,ConjFut). მოღამაზება. პურსა-
ლა რო ამოიღებთ, იმ კერეხს შობოქსობთ
ემ პურზე, რო გადასატულავეს, რო ჩონ
გუნდა წოქლოთ ჩონ ბიჭის ნათხონსა.

გადახეჩა (Msd) gadaxcča გადახეჩეთ
gadavxcčct (V:Pl,1,Aor), გადახეჩევს
gadavxcčcvs (V:Pl,3,Fut), გახეჩა gaxcča
(Msd). გადახლენა. შუაზე გადახეჩეთ.
ქათამი ხო ბაიტა არი, ხელით მას გადაი-
ხეჩევს; გადახეჩეთ – ქათამი უფო ბაი-
ტა არი, კელით მალე გარდახლიჩების
/თორელი/.

გადასკრის (V) gadaysčkris იხ. სკრეკრი.
გადასკრიალებს.

გადაყდა (Msd) gadaQda გარდაყ-
და gardaQda. გადაყდის gadaiQdis
(V:Sg,Prs). გადახდა (საფასურის). წაელენ
და იმაშილა, რო პურს შაშქამენ და, რაძლა
რო ბიჭინათაყე დედაკაცი არი, ის ფულს
გადაყდის.

გაღება (Msd) gadcba გადაღება. მძიმე და
ხანგრძლივი აუადყოფობის დროს ამზობენ.
ყმაწილი გამიღებია – არც თელღების და
არც კლების.

გადიღება (Msd) gadidcba იგივეა რაც გას-
ხიღება, გაზღა. გაზრდა. თაყ დედა ისეთ ნა-
მაი დედაა, რო ყმაწილუფთან სუ იყო და სუ

გადიღა; რო გაედიღლი და გამუელ, მე ოზ-
დაერთის წლისა ვიყავ. მერე ჩემ ძმებიც
გადიღეს და მოიღეს თეპრანს.

გადიყრების (V) gadiqrcbis იგივეა რაც
წიშის, თოვლის აყრა. გაიღარებს, გამოიღა-
რებს.

გადიკვალა (V:Pseudo) gadicvala იგი-
ვეა რაც წაიღა ხელსაყენა. გარდაიკვალა.
გადიკვალა ესე! ორნილა ცხოვრობენ, რო
ქართულად ამბობენ; გადიკვალა, გადიკ-
ვალა, მაშა, მეც ამა ენახე, ეს, ეს, ბატონ
ქერიმი ეს ძალიან ქართველის ემე არი,
მამყორველი.

გადოსტება (Msd) gadoscba გადოსტღე-
ბიან gadoscbian (V:Pl,3,Fut), გაე-
დოსტითლა gavdosicba (V:Pl,1,Aor).
სპარსული *سوادوست/دوست*. იგივეა რაც და-
დოსტება. შერიგება, დამეგობრება. ერთხე-
ლა ერთსაყელაყა გული მტკიევიბიყე
ერთმანეთსაყე, გადაისრიან და გადააღებენ
უკანა, გადოსტღებიან, რაჯურად ვითხრა,
დამშეიდღებიან ერთმანერთან; ეხლა კი,
იმის უკანაყ ელა მე რო მოსწაყლებელი
ვიყავ სოფელჩი, იმის უკან გაედოსტითლა
ძრიყლა.

გადრეცილი (N:Top) gadrecili მამულის
სახელი მარტყოფში (ფერეიდულშაპრში).
გადრეცილი, ლატუსი, მიღმახევი, რო გა-
ვალთყე, ერთ ვევი აქ არ ჩადის, რო გად-
ვალთ ამ გაღმა, კიდეც ერთ ვევი რჩების,
ამას იქიან მიღმახევი; მაყრის კაციც გად-
რეცილსაყე გამობრუნებულან და ქურთის
გ ზასაყე გადმოსულან.

გაელხება (Msd:Phras) gaclxcba თავზე
ხელის აღება.

გავა (N) gava გავას gavas (N:Sg,Dat).
სოლი. გათილილი ჯოხები არი, გინახაყ, რო
გათილიან წერსა და სხო ჯოხშიგ ჩაიხეჩ-

ენ და დასაცხებენ იმას, გაიყრის – გაეა, გაეა, გაეას ვეძახით.

გავანება (Msd) gavaneba გაავანა gaavana (V:Sing,3,Aor). გაშლა, არევა, დაფანტვა.

გავზე მოსლა (Msd) gavze mosla გავზე მოიღეს gavze moides (V:Sg,3,Conj II). დარბილება. გავზე მოიღესო. გავზე ნიშნავს, რო შაჭმა დროზე მოიღესო, ბიტა დარბილდესო, ეს მაგარია; გატოტორობებული რო იყოს და ჩაიძყარო, ჯერ ვერა იჭამ, გოიშიო, ეს ჩაყრილი გავზე მოიღესო.

გავლება (Msd) gavleba ამაველუ amaavle (V:Sg,2,Aor), გაველე gaavle (V:Sg,2,Aor). იხ. გალაღლაღება. წყალში ტანსაცმლის გავლება გარეცხვის შემდეგ, გავლება.

გავრანი (N) gavrani გავრანს gavrans (N:Sg,Dat). სპარსული گاوړانگāvran. იგივეა რაც სამკრე. სახრე. და შოიწყურებიან ჯარეფსა, გავრანს ვიძახით, სამკრესა, სამკრეს იძახით ქენ, არა?

გაზარება (Msd) gazareba გაწელება, გაჭიმვა. ჭიკეულამ უნდოდა ცურავს მეწიოს. იქ თენი გაიზარა, რო გაწყდა.

გაზარება (Msd) gazareba გაიზარა gaizara (V:Sg,3,Aor). გაზმორება.

გაზდა (Msd) gazda გაიზარდა gaizarda (V:Sg,3,Aor), გაიზარდოს gaizardos (V:Sg,3,Aor). იგივეა რაც გადილება. გაზრდა. თორელში, დაშქესანასა და აზნაში – გაზდა. ჩემ პაპა ქე ამესყე უკან უმაჰო გაიზარდა; გაიზარდოს, გაიზარდოს, შეილი გაიზარდების, დადიდების; ვარდი საეარდორი გაიზღების; მასალან, ეგდენ ვმაწილი აეზარდე.

გაზელა (Msd) gazela გასროლა. ერთ ბიჭმა თოლი მაკუმშავა, გაზილა, სხოს მაპხტა თოლში და დაქორავა. /ერთმა ბიჭმა თოვლი მოაგუნდავა, ისროლა, სხვას მოხვდა თეაღში და დააბრმავა; ემან ექით აზილა ამ ციხესაყე, აზილა ამ თავის ყალიანის თეუსა, რო ცეცხლი ღეენტეა და წეედა; ერთმა უნდა აიღოს და გოიზილოს ჩვენ.

გაზელა (Msd:Phras) gazela იხ. მოზელა. ცემა. დედაკემა თავის ვმაწილი ნამა გაზილა.

გაზი (N:Plant) gazi გააზი gyazi. სპარსული گازgaz. გაზის ხის მტერი საგან დამზადებული ტბილეული. მაგმაზე დაეაწყოთ ბეური ემესა, ქიშმიში, გაზი; მოიღიან, მათანინანე შირინი, ერთ გაზი, ერთ ყანდი, ესები მუგუტანინანე და დავსინათითყე, ნაპარი მიეცითყე.

გაზილება (V) gaziğeba გაზილებულა gaziğebula (V:Sg,3,Result I), გაზიდა gaaziğa (V:Sg,3,Aor). იხ. გაძლომა, გალაღარტება, გაღიმება. გაელენთა, გაეიება. იტყვიან მიწაზე. [მიწა] გაზიღდა და თლიანათ შაიქნა ჭავრობი, წყალი რო მეტი მოდის, გაზიღდა: ერთ ზარი არიო, თეეზსა იგავო. და ეს ღელამიწაო იმ ჯარის ზურგზე გაღგაო, იგდენი იწიმაო, რო იმასაც გაივარდა წყალი, გაიზიდა, გაძლების – გაზიდაო.

გაზუტი (N:Top) gazuṭi გორა მარტყოფში (ფერეიდუნშპარში).

გათავთაეება (Msd) gatavtaveba გაეთათავთათ გაtavatavot (V:Pl,1,Conj II), გაეთათავთეე gavatavtave (V:Sg,1,Aor). დამთავრება, გადაწყვეტა. მოდიოთ და ჩონ შუა ეს მოშეელი [პრობლემა] გაეთათავთავო; ლობიო გაეთათავთეე, მოეაწითე, შეეაწყვეე მოციკარეჩი, შეეაწყვეე.

გათამიზება (Msd) gatamizcbe გა-

ვათამიზეფთყე gavatamizcṗc (V:Pl,1,Fut,Yc). არაბული *صاف* lamiz. იხ. თამისის ქნა. გასუფთალება. მაკრატელითა ემესა – წერეფს ღოოჭერთყე, გაეათამიზეფთყე; ზფხულზე მუალთყე და, მაკრატელია, მაკრატელითა ემესა, წერეფს გაეათამიზეფთყე, გაეათამიზეფთყე, მზე შადგეს შიგა და რო ყურზენმა გაა ზღოს.

გათეთრება (Msd) gatetrcba გაათეთრებენ gaatetrcben (V:Pl,3). მოკალა [სილინხის კურჭლოს]. ჩონ დავახით მისი, ჰამაც გაწითლების და გაათეთრებენ.

გათეთრება (Msd) gatetrcba გაათეთრე gaatetre (V:Sg,2,Aor). გარეცხვა. ცურავმა თქო: რა არიო? – და მემნებისო, რო წალი, ეს ტუმარა გაათეთრე და მოდიო; და ერთ ორ დღეს თავისთან ნამა იყო და ერთ ორ-სამ დღე რო გაიარნა, თქო, რო აღე წალი, ეს შავ ტუმარაო ემ წყაროზე გაათეთრე და შამაიტანეო.

გათეთრება (Msd:Phras) gatetrcba გაცხადება, სხვისთვის თქმა. ნუ გაათეთრავ /სხვებთან ნუ იტყვი, ნუ გასცემ/!

გათიზება (Msd) gatizcba სპარსული *صاف* iz. გაღესვა. ნამგალო, არ ვიცო, დანა, ნამგალო. დანას გათი ზებასათინა, გაღესვასათინა /ახნა/.

გათხელება (Msd) gatxeleba გაბრტყელება, ცომის გათხელება. ვარდნა იყო, ეგრე ჯოხი იყო დასატული, ვარდნად გაეათხელითყე, მერე ავილითყე ხელნი ეგრე, ეგრე, ეგრე ვქნითყე, გათხელდის, დავადგითყე ემ შათამანდზელა და მიეკართყე თორნეს.

გათხლახვა (Msd) gatxlaxva იგივეა რაც გაწურვა. ვინმეს მიწაზე დანარცება.

გათხლუშა (Msd) gatxlēša ცემა, დარტყმა.

ეს ეგრე ჩაილაგების, გამავრდების, მერე უნდა ვაზმათა დათხლიშო, აყარო, პურის დაკრასთი; ზანდაზან ემე ბარსა დათხლიშევედეს, ჩაითხლეშევედის და გატყიპდეს, ბეურსაც ზედ ეტარებოდეს; ეს გუვიც ემის ველრიგ არი, რომელმაც მოიღეს, დააწყოს ერთმანებზე ეს შეიდი[ქუა], თუ ემან გუვიც დთხლიშა, ეს დაიწევის /თორელი/.

გაკარწყალება (Msd) gaḳarçqaleba გაკარწყალებს gaḳarçqaleps (V:Sg,2,Prs). ღნობა. ქონი რაც გაკარწყალებს, რას ეძახით მგას ქენ? – თავის ორგანიზმი აღნოეს ამ ქონეფს, იმითინ დამჭლობილა.

გაკეთება (Msd) gaḳetcbeba გააკეთებები gayḳetdcbi (V:Sg,2,Fut). გამოკეთება, გამოჯანმრთელება. მალე გააკეთებები, ღმერთმა ქნას!

გაკივლება (Msd) gaḳivleba დაძახება.

გაკითხვა (Msd) gaḳitxva გააკითხე gayḳitxe (V:Sg,2,Aor), გააკითხავ gayḳitxav (V:Sg,2,Fut). წაკითხვა. ქეთამზე იტყიან: გააკითხე; შენ ვერ გააკითხავ.

გაკილეება (Msd) gaḳilveba გამაკილო gamaxilo (V:Sg,2,M1,Conj II), მაკილებს maḳilvebs (V:Sg,3,M1,Prs). ყურადღების მიქცევა. არ გამაკილო! არ მაკილებს.

გაკირება (Msd) gaḳirveba გააკირვა gaaxirva (V:Sg,3,Aor). გამოსუბრება, გამოპასუხება. გაკირება ნიშნავს, რომ ერთმანერთთან ლაპარაკობენ; ამან ასლან არ გააკირვა, მის არ გააკირვა, არ გააკირვა და თავი დაიხარა და წაიდა; არ გააკირვა ემ ბიჭმა, რო არ გააკირვა, ჭერი გაიხსნა და ჩამოიდა ერთი დიდი ცურავი, ემასთან იიზნ ემ ყოროთან და იცინა და დაბრუნდა და აიდა; ემამ არ გააკირვა, მისცაყე ქირაზე ეს

საპაღნე და წაიღეს მანზილ-მანზილ, თა მივიღეს პინდისთანს;

გაკოლვა (Msd) gaḳolva იხ. კოლი. გაკვალვა. გაკოლვა – ეს პირველს ექამდი ჩავა, მეორე ცოტას ჩავა და მესამე აი ეგეთს გააკეთეთეს და სამოცი, ორმოცდაათი, ოთხმოცი კაცი აი ემ კოლზე მიდის.

გაკრენჭა (Msd) gaḳrenča კრეჭენ ḳrečēn (V:Pl,3,Prs). იხ. პარსვა. გაკრეჭა. თხს კრეჭენ, ცხვარს პარსვენ.

გაკრენჭა (Msd) gaḳrenča გავკრენჭავ gavḳrenčav (V:Sg,1,Fut), გოუკრენჭავეე goḳrenčavəc (V:Sg,1,Fut,Yc). იხ. გამოკეთა. გამოჭრა. გავკრენჭავ და შოიკერავეე; ექამდი გომოხაზე თავინთ ზომეფს გომოხაზევეე, იმის უკან გოუკრენჭავეე.

გაკურცხლება (Msd) gaḳurcxleba გაქცევა, გაკურცხლა.

გალა (N) gala ნაჭრის ჩანთა, სურჯინივით. გალაზე შეკერულია. ჩანთასავითაა. ტუმარა, ტუმარა, პირი წუუტკეცო, ერთ ცოტა; გალა არი, რო ნახევარ ემ პირზე ჩაიყრი, ემ ხარ აღარ გარდავიღეს, ნახევარზე ერთ პირზე რო ეს საპაღნეა, ერთათ დადგეს, არ წაივიღეს ამ პირზე და ემ პირზე.

გალადარი (N) galadari გალადრები galadrebi (N:Pl,Nom). გას აღ galcedar. იგივეა რაც მეჩობნე. ჩობანი, მწყემსი. მინდორი ნახა გალადრები ანქა, წაიმანავდა გალადრები ნახა – მეჩობნები, პა მეჩობნები.

გალალვა (Msd) galalva გარეკვა.

გალაღარტება (Msd) galaḡarṭeba გალაღარდება galaḡardeba. გაელაღარდლით gavlaḡarddit (V:Pl,1,Aor), გაალაღარტაო gaalaḡarṭao (V:Sg,3,Aor,0), აღაღარტებს

alagaṛṭebs (V:Sg,3,Prs), გამალაღარტაო gamalagaṛṭao (V:Sg,1,Aor,0). იგივეა რაც გალაღალაღება. იხ. ვაზიღება, ლაღარტი. ძლიერად დასველება, გაელენთა, დაღობა. მიწაზე არ იტყვიან. იმდენ წყალი დამახსხეს, რო გაელაღარტლიო, გამალაღარტაო, წყლით გაეიღინთით, დაესველდით; გალაღარტაო, გასველა, აღაღარტებს; გაელაღარდლით; წყალი ბევრი მახსა! აღლაღარტა.

გალაღალაღება (Msd) galaḡlaḡeḳeba გაალაღალაღე gaalaḡlaḡe (V:Sg,2,Conj II), ჩამალაღალაღა čamaalaḡlaḡa (V:Sg,3,Aor). იგივეა რაც გალაღარტება. იხ. გაელება. გაელება. წყლით გაელინთვა, ერთიანად დასველება, წყალში რაიმეს გაელება. გაელაღალაღლით, აი ეს ტანსაცმელი გაელაღალაღე.

გალევა (Msd) galeva გალუული galculi (Pstp). იგივეა რაც დალევა. გალევა.

გალევაჭური (N) ფრანგული galevaFuri გარევაჭური garevaFuni. गरامافون gerāmāfon. გრამაფონი.

გალეწვა (Msd) galcəva გაილეწვა gaylcəv (V:Sg,2,Fut). გალეწვა. გახმების, გაილეწვა, მოიტან, ჩაიყრი საბძელში, ზამთრის იმას აჭმეე; კალოზეგაც იყვისე, ის ჯენკი, ჯენკი აღარ გამოიღოდი სეე, კარმაც ვერ გალეწისეე, ბოლოს და ბოლოს და ბოლოს და ბოლოს დაყარინაყე კალოზეგა სქელ ჯოხით, ის დატორინაყე, რო ის ხორბალი გამოიღეს ამ ჯენკსაყე.

გალიპული (Ptcp) galipuli გოოლუა goolopa (V:Sg,3,Aor). მოლიპული, გალიპული, მოლიპული.

გალუა (N:Plant) galua ქლიავი. ბაღში არ დაითეოს ვალუა. ვალუა ხო იცი რა არი? ქლიავსავით არი, მყავევა; ვალუა ის, ჩენთან ქლიავი.

გალუანი (N:Pr) galuani ქართველთა ერთი საგვარეულო თორელში. *გერიანი, კადაშანი, გალუანი, ვალუანი, კაკრინა, წარუკა, – ესეები ყო, რო მე დამიწერავ.*

გალხობა (Msd) galxoba გალხა galxa (V:Sg,3,Aor), გალხობილა galxobila (V:Sg,3,Result I), გამხალა gamxala (V:Sg,3,Result I). გალღობა. *გალხა ის არი, რო ყინული თავდებ. გალხობილა თოული; გამხალაო, გალხების ყინული.*

გალხობა (Msd) galxoba ღლხობა lxoba (Msd). ღლხობა. *ყინული გალხა.*

გამამზევრება (Msd) gamamzcvreba გამამზევრება gamamzcvlcba. გამამზევრება gamaamzvela (V:Sg,3,Aor), გამამზევრებენ gamaamzvelcben (V:Pl,3,Fut). იგივეა რაც ამზევრება. იხ. ამჯარება. გამოჩენა, გამომზევრება. *სამარველები ქეები არი, ყოილარ აღასი, რო ვეზირ იყო ყაჯარიანთ ეხლა თითან ჩუღურთელნი მონუმარენია და ერთმანერთს ზედმეტ სახელს არქმენ და მისაც სახელი დაარქეს, ნელანელად გამამზევრებენ და ეტყვიან.*

გამაჰრა (V) gamahra იგივეა რაც გაგონჯება. წახლა. დაშკესანაში ამბობენ გამაჰრა – წახლა /დაშკესანა/.

გამეტება (Msd:New) gameteba იგივეა რაც ქერება. გამეტება.

გამთელება (Msd) gamtelcba გაგამთელეო gagamtelo (V:Sg,1,M2,Conj II), გამთელდა gamtelida (V:Sg,3,Aor). მოჩენა. წაიდა და ემ ღოვდორებს [ქეიმს] თქო, რო თუ გაგამთელეო მალეო, წახლდ მაიყუნე ის ყორიო, თქო: ბალეო; რაქთენ დღეს უწამლა და ემ ჯერზე ვერ გამთელდა.

გამითენდა (V) gamitenda დამათენდა, შემომათენდა. ვერ გაეიგე რანაირათ გამი-

თენდაო ამაღამ, ცუდად გაეხდით, ყრალათ გაეხდით.

გამოკეთა (Msd) gamoketa გამოკეთავ gamovkctav (V:Sg,1,Fut), გამოფკეთავ gamofkvetav (V:Sg,1,Fut). იხ. გაკერნჭა. გამოჭრა. *ფარჩას მამიტანს, ანდა ზებს დოოჭერავ, და ბად დავწერავთ. დავწერავ და იმის უკან გამოკეთავ, შოოკერავ და მოა; მაკრატელი, მაკრატელი გამოკეთავ და შოოკერავ, ჩარხები მაქ, სამ ჩარხი მაქ.*

გამოკიდება (Msd) gamokideba გამოკიდებულთა gamokidebulia (V:Aux). ჩაკირკიტება.

გამოლანგვა (Msd) gamolangva გამოლანგვა gamolanga (V:Sg,3,Aor). გამოგვა. დაფარე ზღა და გამოლანგვა.

გამოპირება (Msd) gamopireba დაპირება.

გამოჟონვა (Msd) gamožonva ჟონავს žonavs (V:Sg,3,Prs). გამოჟონვა.

გამორთმა (Msd) gamortma გამორთმევა. *ჩონ მიეცემდით, ნამაი ანქ მოზობლობა გუქონდა და მიცემა და გამორთმა და მოშელემა და ნამა იყო, ანქა რო ვიყნევით ჩულრუთსა; გამართმენეე ფულს, ეგეთ რამეს რო გამართმენეე.*

გამორთმა (Msd) gamortma იგივეა რაც გამორთმევა. ყიდვა.

გამორთმევა (Msd) gamortmeva გამორთმეოთომ gamourtom (V:Sg,3,Result I). იგივეა რაც გამორთმა. ყიდვა.

გამორიღება (V) gamorideba ღერიღეო decride (V:Sg,2,Aor). გამორიღება. *ქეები გაატალეო, გამორიღება ის არი, რო აი, მაიკილო და გამოილო – გამორიღება არი და აიტკაპო – დაჭერა არი.*

გამოსურტნა (Msd) gamosurṭna ხეების, მცენარეების და ხეების ფოთლების მთლიანად მოღვევა.

გამოსუსუტუა (Msd) gamosusuṭa გამოსუსუტავდა gamosusuṭavda (V:Sg,3,Aor), გამოსუსუტა gamosusuṭa (V:Sg,3,Aor). გამოთავება, გამოშრობა, გამოსურტვა. გათოვდაო, მაინც ქარმა გამოუსუსუტაო. გაახმო მიწა.

გამოსხმა (Msd) gamosxma გამაასხა gamaasxa (V:Sg,3,Aor), გამაასხამს gamaasxams (V:Sg,3,Fut). დაქევა. პირველა წაიდა ხეზეგა და ბუდე გააკეთა და გამაასხა გამაასხა და მეღამ მოიდა; ქათამი ქე კერცხს დაიდებს, მერე ერთი ოცი კერცხს შოოყრიან ქეშა, ამმა ემ ქათმის კერცხს ჰაიად ხორუსის იყოს, მამალი ჰყვანდეს ქე შიგ დაატყობს, შიგ დაატყობს ერთი ხალი შიგ არი, მეერე ემას შოოყრიან ქათამს, ოზღაერ დღეს დაწვების, მეერე ოზღაერ დღე ქე ათავდა, ეს ჭუჭულას გამაასხამს.

გამოტევება (Msd) gamoṭevcba გამოლოტივოთ gomooṭivot (V:Pl,2,Conj II). იხ. დატევება. მიშეება, მისევა. და იმაშინაც, რო გუნდა, ერთ ძაღლი სხო ძაღლს გამოლოტივოთ, ვაშუდლოთყე, ელეგრე აბაბახს დავც ხეფთყე.

გამოფაქიზაება (Msd) gamopakizaveba გამოაფაქიზაებთ gamoapakizavebt (V:Pl,2,Fut), გამოაფაქიზაეფთ gamoopakizavept (V:Pl,2,Fut). სპარსული *سپاکیزه* gamosufotaveba. ქათამს თავს მოჭჭრით. გამოაფაქიზაეფთ მუცელსა და ნაწლავებს; ნაწლავი, გულლიძლი, ფაში, გული და იმაშინ გამოაფაქიზაებთ, გამოაფაქიზაებთ, გამოერეცხათ.

გამოფუტვა (Msd) gamopuṭva გამოფუტვავე gomopuṭavdce (V:Pl,3,Result I,Yc). იხ. ამოჭორტნა. ამოთლა, ამოფუტურობა. წყალი ჩამოსულა, დოოფულაგებია და რუვი ვოოფუტვებია, ვერ ვოუტანიყე, მოსულან, ის ჯოხი ვომოფუტვავე და ვოოდა ექა და იქ.

გამოღმა (Adv) gamoḡma გამოღმა. გაღმას დაიძახიან და გამოღმას დაიძახიან.

გამოყოლა (Msd) gamoqola რამის ხელს გაყოლება. ერთ რამე რო სხოს გააკეება: ჩემ ფეხსამოსი შენ გამოყოლია.

გამოშრობა (Msd) gamošroba გამოშრობა. იტყვიან პურზე, ცომეულზე. მშრალი ეჭირა ხელნი; პურზე იტყვიან: ვოოში პური გამოშრესო, ხმელ მიწას მაგიერად – არა.

გამოჩვევა (Msd) gamočveva გამაჩვიო gamayčvio (V:Sg,2,Conj II). იგივეა რაც დამწყობა. გაწყითნა, გახედნა. დამწყობა? – გამაჩვიო, ეს რო ჯერ ახალგაზდა რო არი და ჯერ ვერ დგები თავისთან ახლოს, წიხლ გაყრის.

გამოცხრობა (Msd) gamocxroba გამოცხრეს gamocxres (V:Sg,3,Conj II). გამოცხობა, გამოშრობა, გამოშუშება. სარქელი დაფარე, რო პურმა გამოცხრეს.

გამოწვევა (Msd) gamočcva მიწვლნა.

გამოწრილტა (Msd) gamočrilwa გამაწრილავს gamahčrilavs (V:Sg,3,Prs). გამოკითხავს და გამოტყებს, ატყვევინებს რამეს. დახერარო, ვინმე ხო გამაწრილო, სეგბარი თავის ენასყე გამაჩილო; გამაწრილო, ატყვევინო; თუ ვინმემ უნდოდეს, სეგბარი წაკურყნოს და მართალი არა თქოს, აწნეხინო და ელოდო, სურამე გაიგო.

გამოხამება (Msd) gamoxamecba გა-

